პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

29 სექტემბერი პარასკევი 1972 წელი 2 კაპ.

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 229 (15442)

თბილისური მარკით — საექსპორტოდ

თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივი წარმატებით დგას საიუბილეო შრომითს ვახტზე, თვიდან თვემდე გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო დავალებებს. აქაურ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ქარხნის კოლექტივმა წელს შარშანდელთან შედარებით თითქმის ორჯერ გაადიდა საექსპორტო პროდუქციის გამოშვება.

შეჯიბრების მოწინავეთა რიგებშია ქარხნის ერთ-ერთი ახალგაზრდა მუშა ვ. ჩოხური. იგი ყოველდღიურ დავალებებს 115-120 პროცენტით ასრულებს:

ხურათზე: ვ. ჩოხური.

დ. სალარიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ცხოვრების გმირი ლიტერატურის გმირია

მანამედროვე ადამიანი ჩვენი ლიტერატურის მთავარი გმირია. ეს არის ადამიანი, რომელიც შრომობს ქარხნებსა და ფაბრიკებში, შახტებში, საკოლმეურნეო ყანებში, ლაბორატორიებში, დიდ და პატარა ქალაქებში, მუშათა დაბებში, სოფლებსა და აულებში. ეს არის ახალი საზოგადოების ადამიანი, კომუნიზმის მშენებელი, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დიადი ლენინური იდეით ფრთაშესხმული. საბჭოთა მწერალს არა აქვს უფრო ამაღლებული და კეთილშობილური მიზანი, ვიდრე ის, რომ ასახოს იმათი, სულიერი სიმდიდრე, ვინც ადენობს ფოლადს და იღებს ნავთობს, აგებს ქალაქებსა და კაშხალებს, მოჰყავს პური და ბამბა, იკრავს ჭალებში და შეიცნობს ცოცხალი უჯრედის საიდუმლოებას.

კომუნისტური პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპების ერთგულმა საბჭოთა ლიტერატურამ შექმნა მრავალი მასშტაბური სახე, რომლებმაც შეისისხლხორცეს დროის განმსაზღვრელი ნიშანთვისებანი და აღელვებენ მილიონობით მკითხველის გულს. ლეგენდარული ჩაპაევი, პარტიზანული რაზმის მეთაური ლევინსონი, კომკავშირელი პავლე კორჩაგინი, კოლმეურნეობის ორგანიზატორი ხიმონ დავიდოვი, მებრძოლი ვასილ ტიორკინი და ახალი სამყაროს ადამიანთა ბევრი სხვა მკაფიო სახე შეეძლო შეექმნა მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას.

ჩვენი მწერლების საუკეთესო წიგნები გამოირჩევიან ცხოველმყოფელობის პათოსით. კომუნიზმის მშენებლის შემოქმედებითი ძალებისადმი ურყევი რწმენით. საბჭოების ქვეყნის ლიტერატურა ქმედითად უწყობს ხელს მახვილის დაუშრეტელი შრომითი ენერგიისა და მოქალაქეობრივი აქტივობის განვითარებას, შეუწყნარებლობას ყოველივე იმისადმი, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში. ჩვენი ლიტერატურა საერთაშორისო ახმარეზზე გამოდის როგორც კომუნიზმის კეთილშობილური იდეების გამომხატველი, ცხოვრების ხაბჭოური წესის პროპაგანდისტი, გახარწნილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი.

„დიდ კმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობისადმი, — რომ ლიტერატურა და ხელოვნება ნაყოფიერად ვითარდება ყველა ჩვენს რესპუბლიკაში, სსრ კავშირის ხალხთა ათობით ენაზე, ეროვნული ფორმების მკაფიო მრავალეროვნებით“.

თანამედროვე საბჭოთა მწერლები — ჩვენი სამშობლოს სულ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები — ლირსეულად ამრავლებენ გორკისა და მაიაკოვსკის, პაველ ტიჩინასა და იანკა კუპალას, იანისა და აუეზოვის, გაფურ გულიამისა და ხამიდ ჯუნგანის, ჩარენცისა და ლეონიძის, უბიტისა და ცვირკას, მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის სხვა დამწყებთა ნაყოფიერ ტრადიციებს. მოძმე ლიტერატურათა დაახლოება და ურთიერთგამდიდრება საბჭოთა კულტურის ზრდის ორგანული კანონზომიერება გახდა. ისეთ ნაწარმოებთა გამოქვეყნება, რომლებიც ასახავენ ჩვენი დღეების დიდმნიშვნელოვან თემებს, გვიჩვენებენ სოციალისტური სინამდვილის მთავარ გმირს — შრომის ადამიანს, ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდების ახალი სახელების გაჩენა ადასტურებს, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა წარმატებით ვითარდება.

ჯეროვან პატივს რომ მიაგებენ საბჭოთა მწერლების მიღწევებს, შეკითხველები სამართლიანად აკრიტიკებენ ზერელე შინაარსის ულიმლამო ფორმის ნაწარმოებებს, რომლებიც არაფერს არ ეუბნებიან არც გულს, არც გონებას. ვერ შეეურიგდებით ისეთი წიგნების გამოშვებას, რომლებშიც ცხოვრება ასახულია ზერელედ, ცალმხრივად, რაც საბოლოო ანგარიშით ამცირებს, ამახინჯებს თანამედროვის სახეს. ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ხარისხის გაუმჯობესება ჩვენი ლიტერატორების, მწერალთა კავშირისა და გამომცემლობების უპირველესი საზრუნავია. ეს ითქვა პარტიის XXIV ყრილობის ტრიბუნიდან, ამას განსაკუთრებით გიცავს ხაზი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“.

პარტია, ხალხი მწერლებისაგან მოელიან ახალ ნიჭიერ წიგნებს მუშათა კლასის შესახებ, რომელიც მთავარ როლს ასრულებს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში, სოციალისტური სოფლის ადამიანების, ჩვენი სახალხო ინტელიგენციის შესახებ.

თვით ისტორიამ დააკისრა საბჭოთა ლიტერატურას დიდი ამოცანა: აღბეჭდოს თანამედროვეთა და შთამომავალთათვის კომუნისტთა ლენინური პარტიის ერთგულ შვილთა გმირული სახეები. ნიჭიერი ნაწარმოებები კომუნიზმის იდეალებისათვის მოწინავე მებრძოლებზე, რომელთა საქმენი და მისწრაფებანი, სულიერი ფერი და ზნეობრივი თავისებურებანი გამოხატავენ ჩვენი დღეების კომუნისტის საუკეთესო ნიშანთვისებებს, ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანთა შთამაგონებელი თანამშავრები ხდებიან. მკითხველი მოელის ახალ რომანებს, პიესებს, პოემებს, რომლებიც ზრდიან ახალგაზრდობას საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, ჩვენი ხალხის გმირული რევოლუციური. მხედრული და შრომითი საქმეებისა და ტრადიციებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის განვითარების გამოცდილება გვიჩვენებს: მხოლოდ მჭიდრო, ღრმა კავშირი მწერლისა მასების ცხოვრებასთან იწვევს შემოქმედებითს მიღწევებსა და წარმატებებს. და უკანასკნელ დროს მწერალთა ორგანიზაციებმა შესაჩინევად გააძლიერეს თავიანთი აქტივობა, სრულყოფენ ახალი კავშირის ფორმებს. სისტემატურად ეწყობა ლიტერატორთა მოგზაურობანი საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, შეხვედრები ქალაქისა და სოფლის მშრომელებთან, გაიმართა საბჭოთა ლიტერატურის დღეები უკრაინასა და უზბეკეთში, ალტაის მხარისა და ტიუმენის ოლქში, „ენისეის შეხვედრები“ კრასნოიარსკის მხარეში, ლიტერატორთა შემოქმედებითი ანგარიშები შორეული აღმოსავლეთის მშრომელთა წინაშე... ყველა მოძმე რესპუბლიკის მწერლები მონაწილეობენ ამ უაღრესად საინტერესო მუშაობაში, რომელიც ამდიდრებს მათ ცოცხალი შთაბეჭდილებებით, ალაფრთოვანებს ახალი მიღწევებისათვის.

ყოველნაირად რომ ვუწყობთ ხელს მწერალთა ღრმად შეჭრას ცხოვრებაში, ვრაზმავთ მათ თანამედროვეობის აქტუალური თემების დასამუშავებლად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საჭიროა ლიტერატურულ სფეროში შეიქმნას მაღალი მომთხოვნელობის ვითარება, ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფერო. მწერალთა კავშირი ყოველდღიურ ყურადღებას უნდა უთმობდეს ლიტერატურის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, მწერალთა იდეურ-თეორიული დონისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლებას, გულმოდგინე მუშაობას შემოქმედ ახალგაზრდობასთან.

საბჭოთა ლიტერატურა საერთო-სახალხო, პარტიული საქმის განუყოფელი ნაწილია. პარტიული კომიტეტების პირდაპირი მოვალეობაა კიდევ უფრო განუხრელად დაიცვან ლიტერატურის ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, განამტკიცონ მწერალთა კავშირურთიერთობა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სიტყვის ოსტატებიც ემზადებიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ქმეყნდება და იწერება წიგნები თანამედროვეობაზე, იბადება საინტერესო შემოქმედებითი ჩანაფიქრები, საბჭოთა ლიტერატურა ახალი აღმავლობის გზაზეა. და მწერლებს თავიანთ მიხედვით მიაჩნიათ იყონ ჩვენი გმირული ეპოქის შემატიანენი, მთელი მრავალეროვნებით გვიჩვენებდნენ საბჭოთა ადამიანს — კომუნიზმისათვის მებრძოლს.

ПРАВДА

28 სექტემბრის მოწინავე.



სოფლის მშრომელთა დიდი საზრუნავი

შემოდგომა გვაჩქარებს

ყუათიანი საკვები — ჰირუტყვს

დადგა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის გადამწყვეტი პერიოდი. ეს დღეები მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ წვნიანი და უხეში საკვების დამზადების გეგმის შესრულებისათვის.

უხეში საკვები

სულ რესპუბლიკაში გეგმით: უნდა დამზადდეს 930.254 ტონა უხეში საკვები. დამზადებულია 588.317 ტონა, რაც გეგმის 63 პროცენტს შეადგენს. საკვების დამზადების გეგმები უკვე შესრულეს **ხაშურის, საგარეჯოს, გურჯაანის, ახმეტის, გარდაბნის, თეთრი წყაროს** რაიონებმა.

ეს სამუშაო ზოგან ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამის შედეგად უხეში საკვების დამზადების გეგმა ახალქალაქის რაიონში შესრულებულია 64 პროცენტით, ბოგდანოვკის — 51, გორის — 77, კასპის — 62, მცხეთის — 64, წალკის — 56, დუშეთის — 55, ყაზბეგის რაიონში — 24 პროცენტით, სამხრეთ ოსეთში — 51 პროცენტით დასავლეთ საქართველოს რაიონებმა უნდა დააჩქარონ სიმინდის აღება და ჩალის დამზადება.

სილოსი

ეს წვნიანი საკვები გეგმით უნდა დამზადდეს 882.603 ტონა. გეგმა შესრულებულია 87 პროცენტით. გეგმები შეასრულეს მხოლოდ **ზესტაფონისა** და **ხობის** რაიონებმა. სილოსის ჩადების ვადები იწურება. დავიჭაროთ ეს სამუშაო. სილოსისათვის გონივრულად გამოვიყენოთ ბალიშულისა და შაქრის ჭარხლის ნარჩენები და გვიან ზაფხულში დათესილი სიმინდი.

ᲛᲐᲠᲬᲘᲚᲘᲡ მერძევეობა-მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად გაჩაღებულ შეჯიბრებაში გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. გაზაფხულზე უკვე გადაწყდა მდინარე მოქვის ჭალაში არსებულ მიწაზე მიეღოთ ორი მოსავალი. ივნისში მექანიზატორებმა 40 ჰექტარზე ცვლილა-შერთეს ნარევი ალფა და ამრიგად სამეურნეოდ ჰექტარზე 200 ცენტნერი მწვანე საკვები მიიღეს. იმავე ფართობზე მოყვანილი სიმინდის დასილოსება უკვე დაიწყო. მეურნეობაში სულ 1.380 ტონა სილოსსა და 400 ტონა თივას დამზადებენ. თივის დამზადება გრძელდება.

• • •

სურათზე: სახილოსე სიმინდის მეჭანიზებული აღება.

ი. ᲯᲝᲮᲝᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲓ!

შრომითი ვახტები საქართველოს სსრ რესპუბლიკის აქტივისაცემად

ჩვენი ქვეყნის მშრომელები ისწრაფვიან ახალი წარმატებებით აღნიშნონ სახელოვანი იუბილე — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავი. საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში დიდი დღესასწაულის წინ განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური თანამშრომლობა და მეგობრობა, კიდევ უფრო მტკიცდება მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთა ინტერნაციონალური ძმობა.

სამრეწველო საწარმოთა მშრომელები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები თავდადებით ასრულებენ მოძმავალი იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებებს, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკათა პატივსაცემ შრომითს ვახტზე დგანან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ვკლავ მოდის დეპეშები, რომლებშიც მოძმე რესპუბლიკათა მშრომელები იტყობინებიან საქართველოს სსრ რესპუბლიკის პატივსაცემ შრომითს ვახტზე მოპოვებულ წარმატებებს.

დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერს უზბეკეთის კომუნისტური პარტიის ტაშკენტის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ხიკმატოვი, ნათქვამია: „ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ათასობით მშრომელი კოლექტივი, ქალაქ ტაშკენტის საწარმოთა მშრომელები ჩაებნენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად განაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ისწრაფვიან რა ღირსეულად შეხვდნენ სასეელოვან იუბილეს, ჩვენი ქალაქის მშრომელებმა დიდი ენთუზიაზმით ჩაიბარეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის პატივსაცემი 15 დამკვრელური კვირის ეტაპებიდან.

11-დან 17 სექტემბრამდე ქალაქის მშრომელები იდგნენ ჩვენთვის ძვირფასი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პატივსაცემ შრომითს ვახტზე.

ამ დამკვრელურ კვირაში ქალაქის ყველა სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო საწარმომ ვადამდე და მაღალხარისხოვნად შეასრულა სახელმწიფო გეგმები.

ვულოცავთ მოძმე საქართველოს რესპუბლიკას ყველა საბჭოთა ადამიანისათვის შესანიშნავ დღესასწაულს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს და ვუსურვებთ საქართველოს სსრ რესპუბლიკის ყველა მშრომელს დიდ წარმატებებს საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

(საქინფორმი).

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲗᲕᲘᲡ

თბილისის „კომუნისტის“ კორ.). № 3 სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი დ. ცქიტიშვილი) კოლექტივმა მრავალი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიება განახორციელა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის. დაიდგა 85 ახალი საკერავი მანქანა, რის შედეგადაც დიდად გაიზარდა მუშის შრომის ნაყოფიერება, მკვეთრად ამაღლდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. ახლა აქაურ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა, მომხმარებელი მას სიამოვნებით ყიდულობს. ეს რომ ასეა, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მკერავებმა პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის დავალება 27 სექტემბრისათვის 103,7 პროცენტით შეასრულეს, ნატურ-პროდუქციისა — 104,6 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქციისა — 106,4 პროცენტით.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ნატურპროდუქციის გამოშვება 55,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო საერთო პროდუქციისა — 75,5 პროცენტით.

ფაბრიკაში დიდი შრომითი აღმავლობაა. სულ უფრო ძლიერდება სსრ კავშირის შექმნის აღსანიშნავად მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრება. მკერავები ახალი შრომითს საჩუქრებს უმზადებენ დიდ იუბილეს. შეჯიბრებში დაწინაურდნენ და შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან მკერავები ლ. მელიქიძე, და მ. ვეფიოკანოვი, გამომჭრელი ჯ. ქობულოვი.

ზ. ᲯᲐᲛᲐᲡᲐᲠᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲒᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ

კოლმეურნემ და მუშამ დრო რომ არ დაკარგონ

საზრუნავი მოემატათ უკრაინის სოფლის მაღაზიების მუშაკებს. ახლა ისინი ერთდროულად ასრულებენ გამყიდველისა და... მყიდველის მოვალეობებს. სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა სავაჭრო საწარმო იძენს კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მიერ საკარმიდამო ნაკვეთებზე მოწეულ ზედმეტ კარტოფილს.

სოფლად პროდუქტების დამზადების ასეთი ფორმა მეტად ხელსაყრელია მიწათმოქმედთათვის, განუცხადეს საკადესის კორესპონდენტს უკრაინის სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობაში. კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს ახლა აღარ სჭირდებათ ტრანსპორტის ძებნა ბაზარზე წასასვლელად, დროის დახარჯვა. უკვე შესაფდულია საკარმიდამო ნაკვეთებზე მოწეული 300 ათას ტონაზე მეტი კარტოფილი, ხმელნიკას ოლქის მიწათმოქმედმა გაყიდეს 36 ათასი ტონა კარტოფილი, ვინიცის ოლქის მიწათმოქმედმა — 40 ათას ტონაზე მეტი.

მარტო ერთ დღის სუმის ოლქის სერგიენო-ბუდის რაიონის კრენიდის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების მაღაზიამ 20 ტონაზე მეტი კარტოფილი შეისყიდა. კოლმეურნეობა „პროგრესის“ მექანიზატორის ლ. ტ. ბალაშევის ოჯახმა გაყიდა 1.200 კილოგრამი კარტოფილი. 900-930 კილოგრამი გაყიდეს კროლევეცის რაიონის სოფელ იაროსლავეცის კოლმეურნეებმა პ. ზ. კიშენკომ და პ. ი. პრილუცკაიამ.

სოფლის მოსახლეობისაგან კარტოფილის შესყიდვა გრძელდება.

КИЕВЪ.

სსრ კავშირი—საფრანგეთი: პერსპექტიული თანამშრომლობა

კოსმოსური სივრცის კვლევასა და მშვიდობიანი მიზნით გამოყენებას მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მეცნიერთა და სპეციალისტთა თათბირი. რომელიც 27 სექტემბერს დამთავრდა თბილისში.

საბჭოთა დელეგაციას თათბირზე მეთაურობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის („ინტერკოსმოსი“) საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ბ. ნ. პეტროვი, საფრანგეთის დელეგაციას — საფრანგეთის კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრის პრეზიდენტი აკადემიკოსი ჟ. ფ. დენისი.

შეაჯამეს რა წინა თათბირის შემდეგ ერთი წლის ერთობლივი მუშაობის შედეგები, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება, მოიცავს კოსმოსური სივრცის, კოსმოსური მეტეოროლოგიის, აერონომიისა და კავშირგაბმულობის შესწავლას.

ნაყოფიერი აღმოჩნდა პოლარული ნათების ბუნების კვლევა, შესრულებული თანამგზავრ „ორბიტა“ „არკადის“ პროექტის მიხედვით, მზიური წარმოშობის დაბალ ენერგიათა ნაწილაკებისა და გამა-სხივების შესწავლა ავტომატურ სადგურზე „ბიოლოგიური-2“ (ექსპერიმენტები „კალიპსო“ და „თოვლი“). ფართოდ ცნობილია ორივე ქვეყნის სპეციალისტების მიერ მეტეოროლოგიური რაკეტების გაშვება ჰეილის „ეფექტზე“, რამაც ახალი მონაცემები შეგვძინა პოლარულ განედებში ატმოსფეროს ზედა ფენების თვისებების შესახებ.

თათბირზე, რომელიც საქმიან და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ფერწერულებით განხილეს შემდგომ სამუშაოთა პერსპექტივები. ხელი მოაწერეს, ექრძოდა, შეთანხმების ინდოეთის ოკეანეში ეკრეგელენის კუნძულზე საბჭოთა მეტეოროლოგიური რაკეტების გაშვების ორგანიზაციის შესახებ. განსაზღვრულ იქნა კოსმოსური ბიოლოგიისა და მედიცინის დარგში ერთობლივი კვლევის შესაძლო სფეროები (საკადესი).

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

„მხატვრული ლიტერატურა და წიგნები ხელოვნებაზე“ — ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც 26 სექტემბერს გაიხსნა ა. ა. ფადეევის სახელობის ლიტერატურთა ცენტრალურ სახლში. გამოფენა ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს და იმართება წიგნის საერთაშორისო წლის ფარგლებში.

ყურადღებას იპყრობს ეგზპოზიციის ცენტრალური განყოფილება — „ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“. ეგზპონატებს შორისაა წიგნები — „ლენინი და გორკი“, „ლენინი და თეატრი“ და საბჭოთის ხალხთა ენებზე გამოშვებული სხვა გამოცემები. სპეციალური სტენდები ეთმობა კრებულებს, რომლებიც ეძღვნება თემებს „რევოლუციის ბელადის სახე მხატვრულ ლიტერატურაში, სახეთა ხელოვნებაში და კინოში“.

გამოფენაზე წარმოდგენილია უნიკალური გამოცემები, რომლებიც გამოშვებულია საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. დამთვალიერებლები იცნობიან მ. გორკის მიერ დაარსებული „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ პირველ წიგნებს, რომელიც მ. გორკიმ შექმნა, ვ. მაიაკოვსკის, დ. ბედნის, ა. ბლოკის, ა. სერაფიმოვიჩის, თ. გლადკოვის, მ. შოლოხოვისა და სხვა თვალსაჩინო საბჭოთა პროზაიკოსებისა და პოეტების ნაწარმოებთა გამოცემებს.

საიუბილეო ექსპოზიციის მთელი რიგი წიგნები გამოვიდა წელს. მათ შორის არის მოკავშირე რესპუბლიკებისადმი მიძღვნილი ალბომების ლამაზად გაფორმებული სერია, აგრეთვე კრებულები „ხალხთა ოჯახის ხელოვნება“ და „საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში“.

„ხელოვნება ეკუთვნის ხალხს“ — ვ. ი. ლენინის ამ სიტყვებით იწყება დიდი განყოფილება, რომელიც სახვით ხელოვნებასა და მუსიკას ეძღვნება (საკადესის კორ.).

ᲨᲔᲛᲘᲥᲛᲜᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

27 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა სახეიმო სალამო, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირში „სსრ კავშირ-ლიბანის“ მეგობრობის საზოგადოების შექმნას.

სალამოზე გამოვიდნენ საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საზოგადოების შექმნა ახალი ნაბიჯია სსრ კავშირისა და ლიბანის მეგობრული კავშირ-ურთიერთობის განმტკიცების გზაზე.

აღინიშნა „სსრ კავშირ-ლიბანის“ მეგობრობის საზოგადოების გამგეობა. მისი თავმჯდომარე გახდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი ვ. ჩხიკვაძე. (საკადესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მორიგი ინფორმაციის დღე. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა აკადემიკოსმა ე. ხარაძემ გააშუქა კოსმოსური სივრცის მეცნიერული ათვისების საკითხები. (საქინფორმი).

ერთიან ოჯახში

სსრკ 50

ᲐᲮᲚᲝᲜᲓᲔᲑᲐ მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის დიადი დღესასწაული—სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი. ისევე, როგორც განვლილი ღირსშესანიშნავი ზეიმები — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი, ეს დღესასწაული ჩაივლის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შემდგომი შეკავშირების ნიშნით. ეს იქნება კომუნიზმის მშენებლობაში მიღწეულ გამარჯვებათა დათვალიერება, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ხალხის მეგობრობისა და ძმობის მკაფიო დემონსტრაცია.

50 წელი დიდი ისტორიული ვადა არ არის, მაგრამ განვლილ გზას რომ გადავხედავთ, კვლავ და კვლავ პატაცებას ვეძლევით იმ უდიდესი საქმეების გამო, რომლებიც ამ ხნის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა.

ჩვენი ქვეყნის ხალხების დარაზმვამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში გადაგვიშალა სოციალისტურ გარდაქმნათა, ეკონომიური და კულტურული ზრდის უდიდესი პერსპექტივები.

აფხაზმა ხალხმა, რომელიც რევოლუციამდე უუფლებო და დაჩაგრული იყო, საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე ფართოდ გაშალა მხრები და უდიდესი ენერგიით შეუდგა ახალი ცხოვრების შენებას.

1922 წლის დეკემბერში, როცა ვ. ი. ლენინის იდეათა ამოქმედებისის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა შეიქმნა, აფხაზეთი, როგორც საქართველოს სს რესპუბლიკის ნაწილი, შევიდა ამოქმედებულის სს რესპუბლიკაში და ამ უკანასკნელის შემადგენლობაში — სსრ კავშირში. რუსი, ქართველი და სხვა მოძმე ხალხების დახმარებით აფხაზეთი დაადგა საწარმოო ძალებისა და სულიერი კულტურის სწრაფი აყვავების გზას.

1921 წლის აპრილში ვ. ი. ლენინმა კავკასიის კომუნისტებს მიმართა წერილით, რომელშიც მოიწოდა მათ ყველა ღონისძიებით გამოეყენებინათ ამ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, განვითარებინათ სამთო მრეწველობა, ენერგეტიკა, მიწათმოქმედება. წერილი შეიცავდა აგრეთვე კონკრეტულ მითითებას ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობების დამუშავების შესახებ. ეს ლენინური განაწესი კავკასიის, მათ შორის საქართველოსა და აფხაზეთის მშრომელებმა მოკმედების ხაბრძოლო პროგრამად მიიჩნიეს.

ცვლილებანი, რომლებიც ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში 50 წლის მანძილზე მოხდა, ეჭეშმარტად გრანდიოზულია. აი მხოლოდ რამდენიმე შედარება, რომლებიც ახასიათებს მათს მასშტაბურობას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აფხაზეთის ნახევრადკუსტარული მრეწველობა წელიწადში მხოლოდ 186 ათასი მანეთის პროდუქციას აწარმოებდა. შარშან კი ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობამ გამოუშვა 267,7 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია. 1917 წელს შცირე სამძლავრის რამდენიმე ელექტროსადგურმა, რომლებიც მხარეში არსებობდა, 1,7 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, ახლა კი მარტო ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური ერთ დღელამეში იმუშავებს თითქმის ერთნახევარჯერ მეტ ელექტროენერგიას. 1921 წელს აფხაზეთში ჩაის მხოლოდ 0,4 ჰექტარი ეჭირა. ახლა მეჩაიეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია და ჩაის ბუჩქებს 14 ათას ჰექტარზე მეტი უჭირავს.

1924 წელს აფხაზეთში შემოტანილ იქნა პირველი ტრაქტორი. ახლა კი ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა ფერმერებში ითვლება 2.400-ზე მეტი ტრაქტორი 15-ძალიანზე გაანგარიშებით, 250 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, ბევრი სხვა ტექნიკა.

ასეთი განსაცვიფრებელი შედარებანი შეიძლება ყოველ ნაბიჯზე გაკეთდეს. სოციალისტურმა წყობილებამ, კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ გადაშალა მდიდარი მხარის საწარმოო ძალების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობანი, აქტიური შემოქმედებითს ცხოვრებაში ჩააბა მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია, გამოიწვია აფხაზი ხალხის ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის სწრაფი განვითარება.

აფხაზეთის ახს რესპუბლიკის მშრომელებმა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად სოციალისტური შენებლობის მსვლელობაში ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა განვლეს და ახლა მთელ ძალ-ღონეს აბმარენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელების საქმეს.

ასრულებენ რა სოციალისტურ ვალდებულებებს, აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა ვადაზე ორი კვირით ადრე შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გასული წლის გეგმა.

ახალი ხუთწლედის პირველ წელს აღებულია ახალი ზღუდეები სახოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. სახელმწიფოს მიეყიდა 48.405 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — გეგმაზე თითქმის ხუთი ათასი ტონით და ნაკისრ ვალდებულებებზე თითქმის ორი ათასი ტონით მეტი. რესპუბლიკამ მრავალი წლის მანძილზე პირველად გაანაღდა თამბაქოს მოყვანის დავალება.

ყოველივე ამან საფუძველი ჩაუყარა ახალ საწარმოო წარმატებათა მიღწევას.

აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი, ცდილობენ რა ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის სახელოვან ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, მოსკოველთა, ლენინგრადელთა და თბილისელთა მაგალითისამებრ იბრძვიან ხაზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის უველა ღონისძიებით ამაღლებისათვის. მათ ვალდებულება იკისრეს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმა შეასრულონ მიმდინარე წლის 25 დეკემბრისათვის. ქვეყანამ დამატებით უნდა მიიღოს 16,5 ათასი ტონა ქვანახშირი, 4,5 ათასი ტონა კოქსკონცენტრატი, 12 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 800 ტონა პირველადი დამუშავების ჩაი, 100 ტონა ფერმენტირებული თამბაქო. სობუმის სამრეწველო საწარმოთა მუშაკებმა პირობა დადეს აითვისონ სახალხო მოხმარების ბევრი ახალი სახის საქონლის გამოშვება.

ვალში არც სოფლის მეურნეობის მშრომელნი დარჩენილან. ისინი ამორციელებენ წარმოების ინტენსიფიკაციას, ფართოდ ნერგავენ მეცნიერების მიღწევებს, სრულყოფენ შრომის ორგანიზაციას და, გაითვალისწინეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, გადაწყვეტილ წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ 3500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 1000 ტონა ციტრუსების ნაყოფი, 300 ტონა თამბაქოს ნედლეული და ბევრი სხვა პროდუქცია.

პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას, უზრუნველყოფენ მის საჯაროობას, ქმედითობას, რაზმავენ კომუნისტებსა და უპარტიოებს ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ამისათვის, რომ მშრომელნი უფრო ფართოდ იქნან ჩაბმულნი სოციალისტურ შეჯიბრებაში, რესპუბლიკაში მოეწყო პროდუქციის ხარისხის ხამთვიანი დათვალიერება. ფართო მხარდაჭერა ჰპოვა ხაქართველოს ქვანახშირის კომბინატის ტყვარჩელის № 6 შახტის, თბილისის საავეჯო კომბინატ „განთიადის“, № 1 სამკერვალო ფაბრიკისა და სხვა საწარმოების კოლექტივების ინიციატივამ, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ლაშქრობას ნედლეულისა და მასალების ეკონომიისათვის.

ახლა აფხაზეთის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის ჩაბმულია 73 ათასზე მეტი კაცი. კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში მონაწილეობს წარმოების 27 ათასზე მეტი მუშაკი. კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება დაიმსახურა 617 ბრიგადამ, 193 საამქრომ და უბანმა, 20 საწარმომ.

მოწინავე საწარმოო კოლექტივებს შორის არიან ქარხანა „სოხუმმელსაწყოს“, ტყვარჩელის № 6 შახტისა და ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის, გაგრის ხეივნის ქარხნისა და ბევრი სხვა კოლექტივი.

მაგრამ, ანალიზს რომ ვუკეთებთ სამრეწველო საწარმოთა საქმიანობას, იმ დასკვნამდე მივდგავართ, რომ ბევრ მათგანში სოციალისტური შეჯიბრება თავის მიზანს ვერ აღწევს. ამის მიზეზია პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების, ადმინისტრაციის არასაკმაო ორგანიზებელი როლი. ხერხოზული ხარვეზებია შრომის ორგანიზაციაში, წარმოების მართვაში, შრომითი პროცესების მექანიზაციაში.

გამოყენებული არ არის ქვანახშირის მოპოვებისა და გადამუშავების, ელექტროენერგიის გამომუშავების, აგურის, ანაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, ფეხსაცმლის, ტყავის რბილი საქონლის, საკედლე ბლოკების და სხვ. წარმოების შესაძლებლობანი.

პარტიის საოლქო კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა გააუმჯობესონ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა. საჭიროა გაზარდონ პროდუქციის წარმოება და გააუმჯობესონ მისი ხარისხი მნიშვნელოვანწილად არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების, მოწყობილობის განახლების, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ხარჯზე.

პარტიის რაიონული კომიტეტების ყურადღება მიპყრობილია იმაზე, რომ სწორად მოაწყონ სოფლის მშრომელთა შეჯიბრება. მიუხედავად მიმდინარე წლის ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, სოფლის მეურნეობის ბევრ დარგში მაღალი ზღუდეების მიღწევის ყველა შესაძლებლობაა. ამას დიდად შეუწყო ხელი კოლმეურნეობათა ეკონომიკის მნიშვნელოვანმა განმტკიცებამ. აფხაზეთის კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა შარშან 68 მილიონ 600 ათასი მანეთი შეადგინა ნაცვლად 1970 წლის 52 მილიონ 300 ათასი მანეთისა. შემოსავლის ასეთ დონეს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობანი პირველად აღწევენ. გასული სახოფლო-სამეურნეო წელი ყველა კოლექტიურმა მეურნეობამ უზარალოდ დაამთავრა.

წარმატებით გაჩაღდა მუშაობა თამბაქოს პლანტაციებში. 25 სექტემბრისათვის უკვე აღებული და ანმოსილი იყო დავალების 99 პროცენტი.

15 სექტემბრისათვის ავტონომიურმა რესპუბლიკამ გადამეტებით შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 44.840 ტონა ნედლეული, გეგმით გათვალისწინებული 44.790 ტონის ნაცვლად. მაგრამ არც ამ ზღუდეზე შეჩერდებით. გადავწყვეტეთ გეგმის გადამეტებით დავამზადოთ 4.110 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

მიმდინარე წელს უფრო ორგანიზებულად და მაღალი ხარისხით შესრულდა ყველა სახის სამუშაოები ბაღ-ვენახებსა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში, რაც აგრეთვე იმედს გვისახავს, რომ წარმატებით შესრულდება ამ კულტურების დამზადების ვალდებულებანი.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის ივლისში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი გალის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის მდგომარეობის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება გვავალებს უმოკლეს ვადაში აღმოვფხვრათ გალის რაიონსა და აფხაზეთის სხვა რაიონებში მეცხოველეობასა და მარცვლეულის მეურნეობაში დაშვებული ხერხოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, მივაღწიოთ სახოფლო-სამეურნეო წარმოების ამ დარგების აღმავლობას.

მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად რესპუბლიკაში უკვე დათესილია 2.700 ჰექტარი ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები, რაც შარშანდელზე გაცილებით მეტია. გადიდებულია მეცხოველეობის საკვებიოებისათვის სიმინდისა და სოიის ნათესები.

წარმატებით მიმდინარეობს ბალის დამზადება და სახილოსნო რესურსების ნედლეულ.

პარტიის საოლქო კომიტეტი, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოები ყველა ღონისძიებას იღებენ იმისათვის, რომ ამამოსწოონ სახოფლო-სამეურნეო წარმოების ჩამორჩენილი უბნები, მათ შორის მეცხოველეობა, მებოსტნეობა, ეთერეოვანი კულტურების წარმოება.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მიმდინარე წლის შრომითი რიტმი, ძალებისა და სახსრების უნარიანად განაწილება, სამრეწველო, სახოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების მთელ არსებულ შესაძლებლობათა მობილიზაცია შექმნის საფუძველს მომავალი წლის რეკორდული ზღუდეების აღებისათვის, ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის.

გეგმები კი გრანდიოზული გვაქვს, ახალ წარმატებ პერსპექტივებს ვვიხსახავს. მაგალითად, რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების მატება მიმდინარე ხუთწლედში 54 პროცენტს მიაღწევს, რაც სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების დავალებებს აღემატება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე შრომის ნაყოფიერება დაახლოებით 1,4-ჯერ უნდა გადიდდეს. უკვე მარტო ეს მონაცემები შესაძლებლობას გვაძლევს ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა ფართოა გეგმიანი დავალებანი, რაოდენ საჭიროა მათი შესრულებისათვის მთელი რეზერვების მობილიზება.

მიმდინარე ხუთწლედში შემდგომ ვითარდება და ღრმავდება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დასახული სპეციალიზაცია. ეს ისეთი მაღალშემოსავლიანი კულტურების წარმოებაა, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, ტუნგი, თამბაქო და სხვები. საერთო პროდუქციის მოცულობა კოლმეურნეობებში 1975 წელს 7,4 მილიონი მანეთით გადიდდება. 1975 წელს დაგეგმილია პირუტყვისა და ფრინველის ხახორცად დამზადება თითქმის ერთიორად გადიდდეს 1970 წელთან შედარებით. რძე წარმოებულ იქნება ერთნახევარჯერ მეტი, კვერცხი 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1970 წელს, ხუთწლედის დამლევისათვის თვითეული ძროხის წველადობა უნდა ავიყვანოთ 1.107 კილოგრამამდე ნაცვლად 1970 წელს მიღებული 978 კილოგრამისა.

სოოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა გზა ამ მიზნის მისაღწევად — სახოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, მისი ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლება, კოლმეურნეობათა ეკონომიური განმტკიცება. თავისთავად იგულისხმება, რომ ყველა დასახული ღონისძიება როგორც მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ისე კულტურის განვითარების დარგში განმტკიცებული იქნება პარტიულ-პოლიტიკური მუშაობით. უნდა გამოვიყენოთ ამ მუშაობის ფორმები და მეთოდები, რომლებმაც კარგად გაამართლა თავისი დანიშნულება, უნარიანად დავნერგოთ პრაქტიკაში სხვა პარტიული ორგანიზაციების მოწინავე გამოცდილება.

ემზადება რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავისათვის, აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია აძლიერებს თავის კავშირს მასებთან, წარმართავს მათს შრომითს ენთუზიაზმს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადასაჭრელად. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის სახელოვან თარიღს, ახალი შრომითი წარმატებებით გაახარონ სამშობლო.

З. კობახია,
საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

□

შევიჯანოთ ცოდნა ხალხში

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ ღიმღნიშვნელოვანი იდეოლოგიური ორგანიზაციაა, რომელმაც მშრომელთა ფართო აღიარება მოიპოვა. დღეს მის რიგებში 32 ათასზე მეტი წევრია, რომლებიც ყოველწლიურად კითხულობენ 250 ათას ლექციას. მათ ღირსეული წვლილი შეაქვთ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და რესპუბლიკის ნინაშე 1971 წლის XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ ამოცანები სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ VI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად — გააკეთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, პროფესორმა ბ. ჟღენტმა.

მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ მრავალმხრივი მუშაობა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებასთან. წარმატებით განაგრძობს რა ქართველი ინტელიგენციის კარგ ტრადიციას — ხალხში ცოდნის უანგაროდ შეტანას, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ ფართო პროპაგანდას უწევს ლენინის იდეურ მემკვიდრეობას, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალებს. ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და თეორიის, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ფილოსოფიური ცოდნის, მეცნიერული კომუნიზმის, ეკონომიური, სამართლებრივი, ლიტერატურული, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკური ცოდნის პროპაგანდა. ამ მიზნით გამოყენებულია სხვადასხვა ფორმა, მათ შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები, ლექციათა ციკლები, თემატური საღამოები, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები შორნაგვე ადამიანებთან, ზეპირი ჟურნალები, სახალხო უნივერსიტეტები.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდისათვის მრავალ კომპლექსურ ღონისძიებას ახორციელებენ საზოგადოების „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაცია და მისი რაიონული ორგანიზაციები. მათ მუშაობაში ფართოდაა გამოყენებული ზეპირი პროპაგანდის ისეთი ფორმები და მეთოდები, როგორიც არის ლენინური, საორგმმრო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები, ლექტორიუმები, ლექტორის დღეები, მინისტრისა და აკადემიკოსის ტრიბუნა, ლექტორთა გაცვლა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების დღეები თბილისში. ნაყოფიერი საქმიანობა გაეაღოს აგრეთვე საზოგადოების აფხაზეთისა და აჭარის საოლქო, ქუთაისისა და გორის საქალაქო, ზუგდიდის, მარტვილის და სხვა რაიონულმა ორგანიზაციებმა.

მაგრამ, როგორც მომხსენებლმა და გამოსულებმა აღნიშნეს, ჩვენს რესპუბლიკაში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. მაგალითად, საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციაში ჩამორჩება ბუნებისმეტყველების ცოდნის პროპაგანდა. ბათუმის საქალაქო, ხობისა და ლენტეხის რაიონულ ორგანიზაციებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროპაგანდა თავისი თემატიკით მიმართულებითა და ხარისხით ჯერ კიდევ არ შეესაბამება წაყენებულ მაღალ მოთხოვნებს. აქვთ სხვა ნაკლოვანებანიც.

მოხსენების განხილვაში მონწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, პროფესორი ი. თავაძე, პროფესორი გ. ძიძარია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. გულისაშვილი, სამრეთ ოსეთის სოოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი ს. გაბარაევი, წითელწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნ. ბოხტოლანაშვილი, აჭარის საოლქო ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი დ. ჩხეიძე.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეაჯამა გ. ძოწენიძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება. დასახულია ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, საზოგადოება „ცოდნის“ 25 წლისთავის აღნიშვნისათვის. (საქინფორმი).



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის კოლექტივი გამოთვლითი მათემატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საკითხებზე დიდ და მრავალმხრივ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ეწევა.

ამასთან ერთად გამოთვლითი ცენტრი სასოფლო-სამეურნეო საკითხების გადაწყვეტასა და ორგანიზაციაში დიდ დახმარებას უწევს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ: უფროსი ინჟინერ-პროგრამისტი თამილა ფარულავა, გამოთვლითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი ჯუმბერ ყიფშიძე და ინჟინერი თემურ თიკარაძე.

ხ. თევზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კითხვა-პასუხის საღამო

ᲖᲣᲚᲘᲐᲜᲘ. უკანასკნელ ხანს რაიონში მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა ფართო ყურადღების ცენტრში დგას. საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რეგულარულად ეწყობა ამ საკითხზე ლექცია-მოხსენებები. აგიტატორები, პოლიტინფორმატორები და იდეოლოგიური დარგის მუშაკები მშრომელებთან საუბარში ფართოდ იყენებენ ჟურნალებსა და პერიოდულ პრესაში ამ მიმართულებით გამოქვეყნებულ მდიდარ მასალებს. ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ., რაც საბოლოო ანგარიშით განაპირობებს და ხელს უწყობს რაიონში მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას.

სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის პრფილაქტიკურ ღონისძიებებს მიეძღვნა ამ დღეებში პარტიის ზესტაფონის რაიკომის სხდომათა დარბაზში ჩატარებული კითხვა-პასუხის საღამო.

საღამოზე, რომელსაც 300-ზე მეტი კაცი დასწრო, სამართალდარღვევის, მისი თავიდან აცილების, შრომის კანონმდებლობის, ოჯახისა და ქორწინების კანონის და სხვათა შესახებ მრავალი შეკითხვა შემოვიდა, რაზეც დამაკმაყოფილებელი პასუხები გასცეს რაიონის პროკურორმა შ. კალმახელიძემ, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. სამხარაძემ, სახალხო მოსამართლემ ს. ფანჩულიძემ, იურიდიული კონსულტაციის გამგემ გ. ცხადაძემ, ადვოკატმა ზ. დეკდარიანმა, რაიონული გაზეთის სამართლებრივი აღზრდის შტატგარეშე განყოფილების გამგემ, იურისკონსულტმა გ. კიკნაძემ.

ა. ჯაფარიძე.

ეკონომიური კონფერენცია

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.) პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტმა პარტიული და სამეურნეო აქტივისათვის გამართა ეკონომიური კონფერენცია თემაზე: „ეკონომიური სწავლების ეფექტიანობის ამაღლების საკითხები პარტიული და კომკავშარული განათლების სისტემაში“.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მდივანი ბ. ორჯონიკიძე. აქტივმა უდიდესი ინტერესით მოისმინა აგრეთვე მოხსენებები თემებზე: „პოლიტიკური განათლება და ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა“, „ეკონომიური ცოდნა —ახალგაზრდებს“, „კომუნისტური შრომის სკოლა — მშრომელთა ეკონომიური სწავლების შესანიშნავი ფორმა“, „შესასწავლი მასალა და მისი დაკავშირება ცხოვრებასთან“.

პარტიული მუშაკის ცნობარი

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა „პარტიული მუშაკის ცნობარის“ მეთორმეტე გამოშვება. ცნობარში შეტანილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრეზიდიუმის ბრძანებულებანი, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი, რომლებიც მიღებულია 1971 წლის აპრილიდან 1972 წლის მარტამდე, აგრეთვე პროფესიული კავშირების XV ყრილობის გადაწყვეტილებანი. (საკლესი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ

ეკონომიური განათლება —ᲧᲕᲔᲚᲐᲡ!

ᲐᲮᲚᲐᲚᲘ დაიწყება ახალი სასწავლო წელი მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში. იგი მნიშვნელოვანია იმით, რომ ემთხვევა საბჭოთა ხალხის დიადი დღესასწაული — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების პერიოდს. პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური განათლების სისტემებთან ერთად ძალაში შევა ახალი სისტემა — შრომელთა ეკონომიური განათლების სისტემა. იგი მოითხოვა თვით ცხოვრებამ, იმ ამოცანების განხორციელებამ, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებიან „მშრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების შესახებ“.

„ᲐᲮᲚᲐ, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობაზე, — ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲘ ᲓᲘᲓᲔᲜᲘᲜᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲗᲕᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲜᲐᲒᲠᲘᲛᲘ ᲛᲘᲜᲐᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲬᲛᲘᲚᲘ

საბჭოთა წინადადებები—ყურადღების ცენტრში

მსოფლიო პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გრომიკოს გამოსვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 27-ე სესიის პლენარულ სხდომაზე. გაზეთები აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის კონსტრუქციულ და რეალისტურ პოზიციას, რომელიც შეესაბამება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს, და ხაზს უსვამს საბჭოთა დელეგაციის მეთაურის გამოსვლაში გამოთქმულ მზადყოფნას კვლავაც განაგრძონ ბრძოლა მშვიდობისათვის, პროგრესისა და ხალხთა თავისუფლებისათვის, ითანამშრომლონ ყველა სახელმწიფოსთან, რომლებსაც სურთ ეს.

მიმიხილველნი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა კავშირის მიერ გენერალური ასამბლეის განსახილველად შეტანილ საკითხს „საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობისა და ატომური იარაღის ხმოდადამდე აკრძალვის შესახებ".

ნიუ-იორკი. ამერიკის პრესა, რადიო და ტელევიზია ფართოდ აშუქებენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 27-ე სესიაზე.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო, კერძოდ, აღნიშნავს, რომ ა. გრომიკოს გამოსვლამ დაადასტურა საბჭოთა პოზიციის სიმტკიცე ვიეტნამის საქმის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხში. საბჭოთა კავშირმა კვლავ განაცხადა, რომ ვიეტნამის ომის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ წინადადებათა საფუძველზე, რომლებიც წამოაყენეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ, ხაზს უსვამს იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო დაწვრილებით უხებს საბჭოთა დელეგაციის მეთაურის გამოსვლის იმ ნაწილს, რომელშიც სასტიკად არის დაგმობილი ისრაელის აგრესიული მოქმედება არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

რადიოსა და ტელევიზიის კომენტატორები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ სსრ კავშირის წინადადებას, რომ გენერალური ასამბლეის 27-ე სესიაზე განიხილონ საკითხი „საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობისა და ატომური იარაღის სამუდამოდ აკრძალვის შესახებ", და აღნიშნავენ, რომ იმ საკითხის განხილვა „თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის იმანდელი სესიის მუშაობაში".

ბონი. „საბჭოთა კავშირმა კვლავ მოითხოვა, რომ უარი თქვან ძალის გამოყენებაზე საერთაშორისო მასშტაბით და წინადადება წამოაყენა სამუდამოდ აიკრძალოს ატომური იარაღის გამოყენება", — აღნიშნავს „გენერალ-ანეიგერი".

გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე" წერს, რომ საბჭოთა კავშირი იღებს ორივე გერმანული სახელმწიფოს მიღებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

პარიზი. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გრომიკოს გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 27-ე სესიაზე პარიზის პრესის ყურადღების ცენტრშია.

გაზეთი „ლუმანიტე" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს უარი თქვან ძალის გამოყენებაზე საერთაშორისო ურთიერთობაში, აგრეთვე სამუდამოდ აიკრძალოს ატომური იარაღის გამოყენება.

საღამოს გაზეთ „მონდს" მოჰყავს მრავალი ციტატა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის სიტყვიდან.

გაზეთი „ფრანს სუარი" განსაკუთრებით უსვამს ხაზს ა. გრომიკოს სიტყვის იმ ნაწილს რომელიც ეძღვნება ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას. საბჭოთა მინისტრმა, წერს გაზეთი, განაცხადა, რომ „მხოლოდ ხანგრძლივ და სამართლიან მოწესრიგებას ახლო აღმოსავლეთში" შეუძლია ამ რაიონის ყველა სახელმწიფოსათვის უზრუნველყოს მშვიდობა და უშიშროება. (ხაკდესი).

ამაკს ჩვენს საამშოგლოზე ამგოგენ

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში საერთო სათაურით „ხალხთა მეგობრობის დიადი მაგალითი" — გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო, პოლიტიკური, საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა აზრები ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის შესახებ.

დღევანდელ ნომერში ვაგრძელებთ ამ თემაზე მასალების გეჰდვას.

ხალხთა მეგობრობის დიადი მაგალითი

ჟორჟ კონიო,

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მორის ტორეზის ინსტიტუტის ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე, სენატორი

ლენინიზმის მთელი გამოცდილება, ხალხთა კავშირის მთელი ისტორია ამტკიცებს... ხალხთა ჭეშმარიტი ურთიერთობა, ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობისთვის არის ხიბლიანი და მბურავი რწმენის საგანი, ხიბლიდან კომპანი ბრძოლაში, ხოლო სსრ კავშირის ხალხებისათვის იგი იყო მათი სწრაფი პროგრესის ერთერთი მთავარი ფაქტორი, ერთ-ერთი საფუძველი მათი ძლიერებისა იმპერიალიზმის და ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ, ყველა ერისა და ეროვნების ინტერესთა ჰარმონიული შეხამების ძირითადი პირობა.

ისტორიამ გამოიტანა თავისი მსჯავრი: ერთა და ეროვნებათა განვითარების სრული თავისუფლება ხინამდვილე გახდა პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალიზმის მშენებლობის პირობებში, ხოლო შემდეგ კომუნიზმის მშენებლობის პირობებშიც...

როდოლფო გიოლდი,

არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენ-პრეზ დეპუტატი

თქვენ აღნიშნეთ ოქტომბრის მომავლის ბრძოლასაც ხართ. სსრ კავშირის არსებობის ნახევარი საუკუნე ამტკიცებს დიდი ინტერნაციონალისტის ლენინის მთელ სიმართლეს, რომლის ფილოსოფიაც ხაძირკვლად დადგა ახალ მრავალეროვნულ სახელმწიფოებრივობას... თქვენმა ქვეყანამ თავისი დაბადებისთანავე გამოაცხადა, რომ სოციალიზმს მშვიდობა მოაქვს დედამიწის ყველა ხალხისათვის. თქვენ არასოდეს არ გადაგიხვევიათ ამ ჰუმანური პრინციპისაგან, რომლის ლოგიკური განვითარება გახდა XXIV ყრილობის ხაშვიდობო პროგრამა.

ისმაილ ალი აბუკარი,

სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი რევოლუციური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო მდივანი ინფორმაციისა და პროვინციულ ორიენტაციის საკითხებში

საბჭოთა ხალხმა თავისი ქვეყანა გადააქცია ჩამორჩენილი სახელმწიფოდან თანამედროვე მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. სოციალიზმმა დაამტკიცა, რომ წარმოადგენს სიტყვას, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფს თანასწორობას, სოციალურ სამართლიანობასა და სწრაფ ეკონომიურ პროგრესს, არამედ ბელსაყრელ შესაძლებლობებსაც იძლევა მრავალეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის.

პროფესორი ჰუგო გლაერი,

ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ხაზოგადოების პრეზიდენტი

საბჭოთა ხელისუფლება... არ მიმართავდა ერების გადადნობის პროცესს, არამედ, პირიქით, თვითეულ ერს დახმარებას უწევდა მის თავისებურებათა შენარჩუნებაში: ყველგან, სადაც ძველ კულტურულ მემკვიდრეობას, მაგალითად, ენას, ლიტერატურას, ფოლკლორს, გაკრობა ემუქრებოდა, იღებდა ზომებს კულტურის ამ ელემენტების შენარჩუნებისათვის, მათი განვითარებისა და აყვავებისათვის. მიუხედავად ხალხთა განსხვავებისა, ასე მიღწეულ იქნა მათი ერთიანობა საბჭოთა რეპუბლიკების კავშირში...

დონდოგბინ ცევეგმიდი,

გენგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის თავმჯდომარე

საბჭოთა კავშირის მცირე და დიდი ერები და ეროვნებანი შეკავშირდნენ, შეხმატკბილეულნ, ერთიან ოჯახად და ისტორიულად მოკლე ვადაში უდიდეს სიმაღლეებს მიაღწიეს თავიანთ განვითარებაში. ამაში მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი თვალნათლივ, როცა, 1970 წელს მონგოლეთის პარლამენტართა დელეგაციის შემადგენლობაში რომ ვიყავი, ვინახულე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა.

ამ რესპუბლიკამ — თხუთმეტი თანასწორუფლებიანი დიდან ერთ-ერთმა, ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა განვლო. მის სახეს ახასიათებს თანამედროვე მსხვილი სამრეწველო კომპლექსი, კულტურული ცენტრები, სწრაფი განვითარების გზაზე მდგომი მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა. ეს აუვავება მიღწეულია საბჭოთა ქვეყანაში ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტის მეთხებით.

საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული, ყოველთვის უწყდის მეგობრობის ხელს მსოფლიოს ხალხებს. ეს ყველაზე უკეთ იციან ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, რომლებიც აი უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია თავიანთ უმცროს ძმასთან ხელიხელჩაკიდებულნი მიდიან.

ჰანს შერფიგი,

მწერალი, საზოგადო მოღვაწე (დანია)

რევოლუციის წინაპირობებში ყირგიზი ხალხი ჩამორჩენილი იყო, მას ის ბედი ელოდა, რომელიც ახლა ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ხვედრი გახდა. ყირგიზებს თავიანთი ალფაბეტი არა ჰქონდათ. ხოლო ამ ცოტა ხნის წინათ, ამ რესპუბლიკაში ყირგიზეთის მწერალთა კავშირის ხტუშრად რომ ვიყავი, შეხვედრებლობა მომეცა მენახა ყირგიზეთის თეატრები და ხალხცერტო დარბაზები, მოვისმინე ოპერა, ვიყავი მეცნიერებათა აკადემიაში, უნივერსიტეტში, საშუალო სკოლებში.

ეს წარმოუდგენელად დიდი ნაბიჯი თავის განვითარებაში ყირგიზეთმა გადადგა ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე.

დოკტორი ჰერბერტ მოხალსკი,

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის განვითარების სელშემწყობი საზოგადოების პრეზიდენტი, პასტორი

უძანასაკენელ წლებში მე... ვიყავი ყაზახეთსა და უზბეკეთში. ხალხთა კავშირის ამ ორ რესპუბლიკაში ეროვნული პრობლემის გადაწყვეტა ყველაზე მკაფიოდ იჩენს თავს ეროვნული ენების, ლიტერატურის, თეატრის განვითარებით... ყაზახებსა და უზბეკებს შორის არიან ხალხთადა და სახელმწიფო მოღვაწენი, პროფესორები, მახწავლებლები, ჟურნალისტები, ექიმები, ორივე ხალხი ყოველმხრივ ვითარდება. ამიტომ ისინი მტკიცედ უჭერენ მხარს საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან მხოლოდ მის დროს არის შესაძლებელი ასეთი განვითარება. ამავე მიზეზით ხალხთა კავშირის ყველა ეროვნება ერთმანეთთან მეგობრობით არის დაკავშირებული.

...ხალხთა კავშირის პრინციპების შესაბამისად ყოველ ცალკეულ ერს კავშირის ფარგლებში არა მარტო თანაბარი უფლებები აქვს, არამედ განვითარების თანაბარი შესაძლებლობებიც. ეს, ჩემი აზრით, სსრ კავშირის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მიღწევაა თავისი შექმნის 50-ე წლისთავისათვის.

ბეჯოი კუმარ სინჰა,

საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი (ინდოეთი)

ყოველ ჩემს თანამემამულეზე ხალხთა შუა აზიის ნახვა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს... ყაზახეთი რომ ვნახე, გამოცა... მიღწევებმა ხალხთა ხელისუფლების წლების მანძილზე ხოფლის მეურნეობის, მრეწველობის, კულტურის დარგში. ოდესლაც ლატაკ, დაბეჩავებულ მომთაბარეთა მხარეს, დღევანდელ ყაზახეთს თავისი ფაბრიკა-ქარხნების პროდუქცია გაავრცელებს მსოფლიოს 80 ქვეყანაში. მთელ მსოფლიოში განთქმული მისი ბაიკონურის კოსმოდრომიდან ხალხთა მეცნიერები კოსმოსურ ხომალდებს უშვებენ. სიდიდით ყაზახეთის სს რესპუბლიკა მხოლოდ რსფს რესპუბლიკას ჩამოუვარდება. ერთხელ ამერიკელმა სენატორმა ელენდერმა, ყაზახეთში რომ მოგზაურობდა, ცოლ-ქმარ უკრაინელებს ჰკითხა: „ამიხსენით, რისი გულისთვის მიატოვეთ თქვენი მდიდარი უკრაინა და ჩამობოვედით ამ ველში?" „რომ გაგვეკეთებინა რაიმე ლირებული ჩვენს ცხოვრებაში — დავხმარებოდით ყაზახებს", — უპასუხა ახალგაზრდა ქალმა. მისმა ქმარმა დამატებინა: „თვითონ ხედავთ, აქ არაფერი არ იყო, ახლა კი მარტო ჩვენს ხალხთა მეურნეობაში მოხმარებულია თითქმის 60 ათასი მექანარი. ასე რომ ამაოდ როდი ვცხოვრობთ".

ჯოზეფ ნორტი,

ამერიკელი მწერალი

ვანა ვისმე შეუძლია დამარწმუნოს, რომ არიან მსოფლიოში სხვა ქვეყანა, რომელსაც შეეძლოს მოახდინოს ისტორიული გმირობა, იმის მსგავსი, რაც მოახდინეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით?

ამიტომ ყოველთვის, როცა სსრ კავშირში ჩამოვდივარ, განვიცდი რაღაც განსაკუთრებულსა, რაიმესთან შეუდარებელი ალმაცლობის გრძნობას. მაშინაც კი, როცა მომიხდა ტაშკენტის მიწისძვრის შემდეგ ვყოფილიყავი ნანგრევებით დაფარულ მის მიწაზე, ადამიანებისათვის სახოწარკვეთილება არ შემიმჩნევია. ჩემს თვალწინ წარმოსდგა ქალაქი, რომელიც პირდაპირ ნანგრევებიდან იწყებდა აღდგენას. უზბეკებთან ერთად მან აშენებდნენ მათი ძმები უდიდესი საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან. „ევროპელებმა" ლენინგრადიდან, მოსკოვიდან, მინსკიდან თავიანთ მოვალეობად მიიჩნიეს მძიმე უამს დახმარებოდნენ „აზიელებს". და არც ერთი მათგანი ოდნავაც არ დაეკვებულა იმაში, რომ ეს საჭირო იყო გაეკეთებინათ.

როკუელ კენტი,

ამერიკელი მხატვარი

საბჭოთა კავშირში პირველად შექმნილია მოქალაქეთა თანასწორობა, შექმნილია საზოგადოება, რომელიც ესწრაფვის უშიშროებასა და მშვიდობიან ცხოვრებას ყველასათვის.

ჩვენ, ამერიკელები, მადლობელი უნდა ვიყოთ საბჭოთა ხალხისა იმის მაგალითისათვის, თუ როგორ შეუძლია დიდ და ძლიერ ხალხს ცხოვრობდეს და წარმატებებს აღწევდეს და ამავე დროს მშვიდობიანად თანაარსებობდეს მთელ კაცობრიობასთან, იბრძოდეს საყოველთაო საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

მან უკვე მოგვცა უსაზღვროდ ბევრი რამ, მაგრამ კიდევ რაოდენს მისცემს საბჭოთა ხალხი მეცნიერების საყოველთაო განვითარების საქმეს, კიდევ რაოდენს გააკეთებს იმისათვის, რომ განავრცოს ცოდნის ზღვრები და საბოლოო ანგარიშით ბედნიერება მიანიჭოს მთელ კაცობრიობას!

ამბები

● **მთელ იტალიაში** დაიწყო 1,4 მილიონი მშენებლის საერთო-ეროვნული 24 საათიანი გაფიცვა. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის მომატებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

● **ამერიკის კონგრესის** წარმომადგენელთა პალატამ 291 ხმით 13-ის წინააღმდეგ მოიწონა კანონ-პროექტი ევროპასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში სამხედრო ბაზების შესაქმნელად 2,3 მილიარდი დოლარის გამოყოფის შესახებ.

● **ანკარაში, დაიწყო** მოლაპარაკება თურქეთის პრეზიდენტ ჯევდეთ სუნაისა და ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაპირ შაჰს შორის, რომელიც თურქეთში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება.

● **სამხრეთ ჩინეთის** ზღვაში 16-29 ოქტომბერს მოეწყობა სეატოს სამხედრო ბლოკის დიდი საზღვაო მანევრები „ზღვის მორიელი". მანევრების სარდალი იქნება კონტრ-ადმირალი ჯ. დიკი — ფილიპინებზე აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების სარდალი. საფრანგეთი და პაკისტანი არ მიიღებენ მონაწილეობას მანევრებში.

● **1966-დან 1970 წლამდე** არგენტინაში მოქმედმა უცხოეთის მონოპოლიებმა ქვეყნიდან გაიტანეს 935 მილიონი დოლარი მოგება. უცხოეთის კაპიტალურმა დაბანდებამ ამავე პერიოდში არგენტინის ეკონომიკაში შეადგინა 41,6 მილიონი დოლარი. ამრიგად, არგენტინაში შეტანილ ყოველ დოლარში უცხოეთის მონოპოლისტებმა 22 დოლარი მოიგეს.

● **ორი საერთაშორისო** სატელეფონო კავშირი, 30 კილომეტრზე ლისაბონის სამხრეთით, რამდენიმე საათით მწყობრიდან გამოგიდა ჩადებული ბომბების აფეთქების შედეგად. აფეთქება მოახდინეს ეროვნული განთავისუფლების პატრიოტული ფრონტის წევრმა ანტიფაშისტებმა და დიუკაშორეს მთავრობის ახლანდელი მეთაურის მ. კაეტანუს ხელისუფლების სათავეში ჩადგომის მეოთხე წლისთავს.

● **ინგრევა კოლიზიუმის** ათასწლოვანი კედლები. ხშირი წვიმებისა და ქალაქის ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის შედეგად დიდდება ბზარები ძველი რომის უნიკალური ძეგლის მრავალმეტრიან კედლებში. ცვივა ქვის ლოდები. სპეციალურმა კომისიამ გასცა განკარგულება დახურონ კოლიზიუმი ტურისტებისათვის.

ფაქტები

შუმანის გამოსვლა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 27-ე სესიაზე

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. ხაკდესის კორესპონდენტები ა. კარასიკოვი და ო. პეოოვაროვი თუწყობენ: სიტყვა წარმოთქვა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 27-ე სესიის პლენარულ სხდომაზე, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. შუმანმა კვლავ დაადასტურა თავისი ქვეყნის გადაწყვეტილება — განვითაროს მეგობრული თანამშრომლობა ყველა სახელმწიფოსთან, განუწყვეტლივ მათი საზოგადოებრივი

მ. შუმანმა გაიხსენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი საფრანგეთში და მისი მოლაპარაკება პრეზიდენტ ჟ. პომპიდუსთან, რის შედეგად ხელი მოაწერეს ერთობლივ

— საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის პროტოკოლს.

შეეხო რა ორი ყველაზე დიდი სახელმწიფოს — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას, მან თქვა, რაც უფრო უმჯობესდება იგი, მით უფრო მოგებული რჩებიან ამის შედეგად სხვა ქვეყნები და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმე.

მ. შუმანმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა ახლა მარტო დიადი მიზანი როდია. ორი თვის შემდეგ, თქვა მან, ჰელსინკში დაიწყება ბოლოს და ბოლოს, მისი მრავალმხრივი მომზადება,

ნიუ-იორკი

ტერორისტები იარაღდებიან

28 სექტემბერი. (ხაკდესი). მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოქმედმა ტერორისტულმა საონისტურმა ორგანიზაციებმა ამ ბოლო დროს ისრაელიდან მიიღეს იარაღის მნიშვნელოვანი პარტიები, იუწყება გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი".

„ისრაელის პოლიციის ხელისუფალთა წარმომადგენელმა მოშე კაცმა დაადასტურა, რომ საზღვარგარეთ თვითმფრინავებით გაგზავნილი იარაღი „ათვალისწინებულია ტერორისტული კამპანიებისათვის", — წერს გაზეთი. პოლიციამ აგრეთვე დაადასტურა, რომ შეერთებულ შტატებში აგრესიული სიონისტური ორგანიზაციის „ებრაელთა დაცვის ლიგისათვის" კომეტიკიული ავიაკვირთის ნიღბით გაგზავნეს ტყვიამფრქვევები, გრანატები და ტყვია-წამალი.

იარაღის ძირითადი მიმწოდებელია ტერორისტული სიონისტური ორგანიზაცია „ირგუნ ცვაი ლეუმი", რომელიც ანარქიზმულ ელემენტებისგან

საბოლოო შედეგები ოლო

28 სექტემბერი. (ხაკდესი). შეაჯამეს „საერთო ბაზარში" ნორვეგიის შესვლის საკითხზე გამართული რეფერენდუმის საბოლოო შედეგები. ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში შესვლის წინააღმდეგ ხმა მიხცა ამომრჩეველთა 53,49 პროცენტმა, ხმარი დაუჭირა — 46,51 პროცენტმა.

კენჭისყრაში მონაწილეობდა ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 77,68 პროცენტი.

ალჟირი

პატრიოტთა წარმატებები

28 სექტემბერი. (ხაკდესი). გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის შეიარაღებული ძალები კვლავ აძლიერებენ შეტევებს პორტუგალელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ.

ამას მოწმობენ გვინეის და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის წარმომადგენლობის კომუნიკეში მოყვანილი მონაცემები.

მარტო მიმდინარე წლის აგვისტოში, აღნიშნულია კომუნიკეში, გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის პატრიოტებმა განახორციელეს 77 საბრძოლო ოპერაცია. პორტუგალიის არმიის გამგზავრებული პუნქტებისა და სამხედრო ბანაკების წინააღმდეგ.

ამ ოპერაციების დროს, აღნიშნულია კომუნიკეში, დახოცეს 119 და დაჭრეს ბევრი პორტუგალელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს სამხედრო საჭურველით დატვირთული 9 სატვირთო მანქანა და 9 სამხედრო გემი.

ეს სურათი დამაჯერებლად ადასტურებს იმას, თუ რა მეთოდებსა და ხერხებს მიმართავენ „წესრიგის დამცველნი" მშვიდობისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ. მაგრამ ამერიკის ახალგაზრდობა მაინც აქტიურად განაგრძობს ბრძოლას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აშშ-ის სამარცხვინო ომის წინააღმდეგ.

სოკდესის ფოტოკორესპონდენტი.

დანაშაულის ახალი ფაქტები

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. (ხაკდესი). პრესაში იბეჭდება ახალი მონაცემები სამხრეთ ვიეტნამის მაწა-წყალზე ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

ოკლაჰომის შტატში გამომავალი გაზეთი „დეილი ოკლაჰომანი" იუწყება, რომ 1967 წლის 18-23 მაისს ამერიკის ჯარების მიერ „საძიებო ოპერაციების" დროს დახოცეს ასობით მშვიდობიანი მცხოვრები და ტყვეები. ეს დანაშაული, გაზეთის მონაცემებით, ჩაიდინეს სამხრეთ ვიეტნამის იმავე რაიონში, სადაც ერთი წლით ადრე სასტიკად გაუსწორდნენ მილაის თემის მცხოვრებლებს.

არმიის სარდლობა იძიებდა ამ ამბებს, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 25-ე ქვეითი დივიზიის მეორე ბატალიონის კაპიტან ჯეიმს ლენინგის ასეულმა „სოფ-მ. მაგრამ სამხედრო ხელისუფლებამ მაინ მიჩქმალეს ეს დანაშაული. ახლა ფაქტები სამხრეთვიეტსაბჭოელთა იმოზოცვის შესახებ ცნობილი გახდა ასეულის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა მონაყოლის მეოხებით.

ფორტ-ბრეგის სამხედრო ბაზის წარმომადგენელმა, სადაც ახლა ლენინგი მსახურობს, აღიარა, რომ 1967 წლის 18-23 მაისის ამბები ნამდვილად მოხდა, და განაცხადა, რომ ახლა იძიებენ იმავე რაიონში იმავე ქვეგანაყოფის სხვა ოპერაციებს. მათ შორის ნათესებისა და ბოსტნეულის სოფლების გადაწვას, უიარაღო ადგილობრივ მცხოვრებთა დახვრეტას.

როგორც ცნობილია, მილაიში ჩადენილი დანაშაულისთვის გაასამართლეს მხოლოდ ოფიცერს მეთაური ლეიტენანტი უ. კოლი. ტეროროს დახარჩენ მონაწილეებს ხელი გაფარეს სამხედრო ხელისუფლებმა. კოლიც, რომელიც ახლა იხდის ოცი წლის პატიმრობას... შინაპატიმრობაშია, და პრესის აზრით, შეიძლება გათავისუფლონ ვადაზე გაცილებით უფრო ადრე, ანდა საერთოდ შეიწყალონ.

შეხვედრები კარიზში

ვაშინგტონი, 28 სექტემბერი. (ხაკდესი). გუშინ პარიზში ერთმანეთს შეხვდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის სპეციალური ჩრჩველი ლე დიკ თხო და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამშრომელი ეროვნული უშიშროების საკითხებში გ. კისინჯერი.

ამ ბოლო დღეებში მეორედ ხვდებიან ერთმანეთს ლე დიკ თხო და გ. კისინჯერი.

თეთრი სახლი, რომელმაც დაადასტურა შეხვედრის ფაქტი, დუმს მოლაპარაკების შინაარსის თაობაზე.

კრიტიკის ქარცეცხლში

ვაშინგტონი

28 სექტემბერი. (ხაკდესი). სენატმა მოიწონა კანონპროექტი უცხოეთის სახელმწიფოებისადმი სამხედრო დახმარების შესახებ, რომელიც ამ მიზნისათვის ითვალისწინებს 1.820 მილიონი დოლარის ასიგნებას.

300 მილიონი დოლარი გამოყოფილია ისრაელისათვის სამხედრო ტექნიკის მისაწოდებლად. გარდა ამისა, ტელ-ავივს მივცემა 85 მილიონი დოლარი უგრეთწოდებული „ეკონომიური დახმარებისათვის" — ფაქტიურად ისრაელი აგრესორის სამხედრო მანქანის გასაძლიერებლად. ამ კანონპროექტით ასიგნებული სახსრები მოხმარდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის ომის დაფინანსებას, სამხედრო დახმარებას შეერთებული შტატების მოკავშირეებისათვის აგრესიულ ბლოკებში, მარიონეტული რეჟიმების შენარჩუნებას.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, უცხოეთის სახელმწიფოსათვის სამხედრო დახმარების კანონპროექტის მიღება იელოსში ჩაიშალა კოხგრესში. მაშინ მთავრობის მომხრეები იძულებული გახდნენ ხმა მიეცათ მის წინააღმდეგ, რადგან ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეებმა მიაღწიეს კანონპროექტისადმი შესწორების მიღებას, რომელიც ითვალისწინებს ამერიკის ჯარების გაყვანას ინდოჩინეთიდან ოთხი თვის მანძილზე, თუ გაათავისუფლებენ ტყვედ ჩავარდნილ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს.

გუშინ სენატში უცხოეთის სახელმწიფოებისათვის სამხედრო დახმარების კანონპროექტის გამო ახალი კენჭისყრის დროს თავრობის მომხრეებმა 54 ხმით 42 ხმის წინააღმდეგ უარყვეს ანალოგიური შინაარსის ომის საწინააღმდეგო რეზოლუცია. მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ 42 სენატორმა ხმარი დაუჭირა მას, მოწმობს, რომ სულ უფრო კარგავს პოპულარობას ომი ვიეტნამში.

არჩევნების ზინ შეეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი. 28 სექტემბერი. (ხაკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნებამდე ექვს კვირაზე ნაკლები დარჩა. მაგრამ საარჩევნო კამპანია ჯერ კიდევ არ გაშლილა მთელი ძალით.

რესპუბლიკური პარტიის სტრატეგების ჩანაფიქრით, პრეზიდენტი ნიქსონი აქტიურად არ ჩაებმება საარჩევნო კამპანიაში ოქტომბრის შუა რიცხვებამდე და დასჯერდება მხოლოდ პერიოდულ გასვლას ზოგიერთ, ყველაზე მნიშვნელოვან შტატებსა და ქალაქებში.

რესპუბლიკელთა საარჩევნო კამპანიაში მთავარი როლი ახლა ეკისრება ნიქსონის უახლოეს წრეს — ვიცე-პრეზიდენტ ანგნიუს, კაბინეტის წევრებს, თეთრი სახლის ხელმძღვანელ მუშაკებს.

რესპუბლიკელთა ტაქტიკა ამ ეტაპზე ის არის, რომ მთავარი ცეცხლი მიმართონ დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატის მაკგოვერნის პროგრამის კრიტიკას და ნაკლები ილაპარაკონ თავიანთ საკუთარ პროგრამაზე, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ვიეტნამის ომი, სიღვრის ზრდა და დიდი უმუშევრობა.

რესპუბლიკელთა ამოცანას ამსუბუქებს ის, რომ მაკგოვერნმა საარჩევნო კამპანიის დროს შეცვალა ბევრი თავისი წინადადება. რესპუბლიკელები ამის საფუძველზე მაკგოვერნს ბრალად სდებენ, რომ ხმების მოსაპოვებლად ღალატობს საკუთარ პრინციპებს.

დემოკრატთა კანდიდატმა პრეზიდენტის პოსტზე მაკგოვერნმა, რომელიც მოგზაურობს ქვეყანაში და დღეში რამდენჯერმე გამოდის ხან ერთ, ხან მეორე შტატში, თავისი კამპანიის მთავარ თემად აირჩია თავდასხმა რესპუბლიკურ მთავრობაზე, რომელსაც ბრალად სდებს, რომ იგი წარმოადგენს მსხვილი მონოპოლიების ინტერესებს და სრულიად არ ზრუნავს უბრალო მშრომელ ამერიკელზე.

ვიეტნამის ომის თემას, რომელსაც ესოდენ დიდ ყურადღებას უთმობდა კამპანიის დასაწყისში, ახლა თითქმის აღარ ეხება მაკგოვერნი. ზუსტად ასევე ამ უკანასკნელ გამოსვლებში თითქმის აღარ ეხება სამხედრო ხარჯების შემცირების საკითხს.

საზოგადოებრივი აზრის ყველა გამოკითხვა კვლავინდებურად მოწმობს, რომ მაკგოვერნს არჩევნებისწინა ბრძოლაში ნაკლები შანსები აქვს, ვიდრე ნიქსონს.

ახლა ორივე პარტია დიდ ყურადღებას უთმობს ბრძოლას ახალგაზრდა ამომრჩეველებისათვის, რადგან მიმდინარე წლის არჩევნებში პირველად შეუძლიათ მიიღოს მონაწილეობა 18-24 წლის 25 მილიონ ახალგაზრდა ამომრჩეველს.

შენდობა ახალი საწარმოს

ამ შეპაპეთებენ ეს ალატორებს

□

ეშვიდი წელია შეუფერხებლად მუშაობენ თბილისის მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სადგურების ესკალატორები. ამ ხნის განმავლობაში მათ მილიონობით მგზავრი გადაიყვანეს. ესკალატორებმა ნორმით 90 ათასი კილომეტრი უნდა გაირბინონ. მაგრამ მეტროპოლიტენის მუშაკებმა პროფილაქტიკური მეკეთების მაღალ დონეზე დაყენებით, მაღალხარისხოვანი მასალების გამოყენებით ნორმა 120 ათას კილომეტრამდე გაზარდეს.

მომავალში თბილისის მეტროპოლიტენის მიწისქვეშა მგზავრებისათვის აუცილებელი იქნება ესკალატორების შეკეთებელი საწარმო, რომელიც კაპიტალურად შეაკეთებს ესკალატორების მთავარ აგრეგატებს (ძრავებს), რელექტორებს, საფეხურებს, ამასთან დაამზადებს ცალკეულ ნაწილებსა და დეტალებს.

მეორე წელია, რაც თბილისგრაბმშენის № 5 საგზირაბო რაზმის უბანი, რომელსაც ინჟინერი გ. ხარატიშვილი ხელმძღვანელობს, თბილისის გარეუბანში, ორხევში აგებს ესკალატორების შემკეთებელი საამქროს შენობას. ადმინისტრაციული სახლის კორპუსს, დახურულ გასასვლელს. მუყაითად შრომობენ უბნის მშენებლები. მათ გადაწყვეტილი აქვთ პირველი რიგის სამუშაოები მომავალ წელს დაამთავრონ. ამ სამუშაოებთან ერთად გასაყვანია 3,3 კილომეტრი სიგრძის რკინიგზა, რომლის გაყვანა მიანდეს თბილისგრაბმშენის გზის გამყვანთა უბანს (უფროსი ვ. სიხარულიძე).

ლიანდაგის გაყვანას ერთი ბრიგადა აწარმოებს. ამ კოლექტივს უნარიანად უძღვება ბ. როსტიაშვილი. მუყაითად შრომობენ გ. ცხადაია, შ. მაისურაძე, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ჯანაშია. გზის დაგებია უბნის კოლექტივი კარგა ხანია გაეცნო „ლავამსსტროის“, „ზელენოკრადსტროის“ № 3 სამშართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირის ნ. ზღობინის მუშაობის მეთოდს და გადაწყვიტა მხარი აუბა ნოვატორი მშენებლისათვის.

უბნის კოლექტივის წევრებმა მოითათბირეს, იმსჯელეს და ერთსულოვნად გადაწყვიტეს იმუშაონ ზელენოგრადელი მშენებლის მეთოდით.

უბნის კოლექტივმა თვეების მიხედვით გაანაწილა სამუშაო, დაადგინა მიხი შესრულების გრაფიკი, შეადგინა აკორდული გამომუშავების უწყისი, გზის დამგებია უბანი სამეურნეო ანგარიშზე გადავა. გზის მშენებელთა გადაწყვეტილებაა 3,3 კილომეტრი სიგრძის რკინიგზა წლის ბოლომდე გადასცენ საექსპლოატაციოდ.

ჯ. კობიძე.

ბელარის ქუჩა ნინანდალში

თელავი. (საკ. კორ.). სოფელ ნინანდალის (ენტრში ამ დღეებში საზეიმოდ გაიხსნა პროლეტარიატის დიდი ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ქუჩა.

ქუჩა შესრულებულია მოქანდაკე თ. ჭყონიას მიერ. იგი წინანდლელმა მშრომელებმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის სახელოვან იუბილეს მიუძღვნეს.

□

მადლობა ყაზბეგელ მკურნალებს

ყაზბეგი. „კომუნისტის“ საკ. კორ. რაიონულ გაზეთ „დარიალის“ რედაქციაში სტავროპოლიდან წერილი მოვიდა. ერთერთი საწარმოს მუშა ქალი ნ. ბარანოვა, რომელიც ბარშან ყაზბეგის ტურბაზაში ისვენებდა, იწერება:

— ძვირფასო რედაქციავ! ჩემს სიცოცხლეში პირველად ვწერ წერილს. ძალიან მსურს მადლობა გადავუხადო ყაზბეგის რაიონული საავადმყოფოს ახალგაზრდა მკურნალ ექიმს ეუფუნა ღუდუშაურს გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის, რაც მან გამოიჩინა ჩემი მეუღლის მიმართ, რომელიც მძიმედ ავადმყოფი მოხვდა საავადმყოფოში. მისი მზრუნველობა ჩვენ არასოდეს არ დაგავიწყდება.

ფოსტამ კიდევ ერთი ახალი წერილი მოიტანა. მისი ავტორია როსტოველი მუშა ი. ბარანიკოვი:

— გთხოვთ, — წერს იგი, — ყველითადი მადლობა გადასცეთ ძარგი მკურნალობისა და ყურადღებისათვის ყაზბეგის რაიონაავადმყოფოს მთავარ ქირურგს ვლადიმერ საბაურს. სწორედ მისი თავდადებისა და მზრუნველობის შედეგია, რომ სახლში მხნეობით საკუნე დავბრუნდი.

კიდევ მრავალი მადლობის წერილი სარედაქციო პორტფელში. ყაზბეგის ტურბაზის ყოფილი დამსვენებლები ლ. ილინა, პ. ჩერტკოვი, ნ. ოსიპოვი და სხვები დიდად უმადლიერებიან რაიონაავადმყოფოს კოლექტივს და პირადად მთავარ ექიმს ი. ფიცხელაურს.

ბასქმართლო ლარგაზიდან

□

ლოთი კაცის „ზარბაზანი“

ბაკინსკელს ალბათ გაუგონია გულუბრყვილო ქართველი გლეხის ეიფაზ შესახებ, რომელმაც ფუღურო ხისგან ზარბაზანი გაკეთა და უხილავ მტერს ესროლა. როგორც ცნობილია, ზარბაზანი ადგილზევე ნამსხვრევებად იქცა და რამდენიმე კაცი იმსხვერპლა. ელიბოს გული არ გაუტეხია: — აქ თუ ამდენი დაიხოცა, იქ, მტრის ბანაკში რაღა იქნებოდაო.

ამჯერად საუბარი ეიბოს ზარბაზანზე როდი გვაქვს. ლაპარაკია დუშეთის რაიონის სოფელ პავლეურებში მცხოვრებ ნიკოლოზ აბრამის-ძე აფციაურზე, რომელიც მეზობლებში ლოთი-მფოთი კაცის სახელით არის ცნობილი. თუ სადმე პურმარილი გაჩნდა, თავმატიეს როდი დაიდებს, იმწამსვე იქ გაჩნდება, ლაპარაკს არავის აცლის, გინებითა და უწმაწური სიტყვებით აიკლებს იქაურობას.

ამასწინათაც არ უღალატა ნიკოლოზმა თავის ჩვეულებას. მეზობელ რეზო ხოსიაშვილის ეზოში სიმღერის ხმა რომ გაისმა, დაუბატიჟებლად იქ გაჩნდა, სტუმრებს მიესალმა და სუფრასთან ყველაზე კარგ ადგილს მოიკალთა.

თამადამ ახლადმემოსწრებულის სალღეგრძელო ინება, იქნებ, როგორმე ესმიამოვნოთ და გინება არ დაგვიწყოსო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთო, ორიოდე ჭიქის შემდეგ ნიკოლოზმა თავი მოხსნა ლანძღვა-გინების გუდას. ბევრს ეხვეწნენ, ემუდარნენ, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. გაცეცხლებული მასპინძელი იძულებული გახდა თავხედი სტუმარი დაეთხოვა.

ნიკოლოზი ცოფებს ყრიდა, ეს როგორ გამბედესო. გაბორტყული გარბოდა სასლისაკენ, სადაც ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე ბოთლი ჰქონდა შენახული. მოქეიფენი ფიქრობდნენ: — ახლა კი მოვისვენეთო, მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ გაისმა ნიკოლოზის გინება: — ქეიფი ახლა ნახეთო, დაიყვირა და ბოთლი მაგიდას სტყორცნა, სტუმრებმა თავს გაეტეგვინ უშველეს, ბოთლი კი საშინელი ხმაურით მაგიდასთან აფეთქდა, მართალია, ადამიანს მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ შიში კი დიდი იყო.

ასე ჩაუმწარა თავისსავე მეზობლებს ტკბილი პურმარილი სამართალში ადრე სამჯერ ნამყოფმა ნ. აფციაურმა.

ლუშეთის სახალხო სასამართლომ ბორტ ხუციგანს ნ. ა. აფციაურს ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯა.

ა. თომაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ესპანეთის ცის ქვეშ

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის საგასტროლო ტურნე ესპანეთში

ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლი, რომელსაც ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ხელმძღვანელობენ, საგასტროლოდ ესპანეთში იმყოფება. ეს მსოფლიოს სამოცდამეცამეტე ქვეყანაა, სადაც ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები უცხოელ მაყურებელს აცნობენ ქართული ხალხური ცეკვის ეშხსა და სილამაზეს...

ბარსელონაში ჩავფრინდით. ეს იყო ესპანეთის პირველი ქალაქი, სადაც მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე აღიარებულმა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა პირველად დადგა ფეხი. პირველი კონცერტი დანიშნული გვქონდა ქ. ტარაგონაში, რომელიც ბარსელონიდან 80 კილომეტრია.

ტარაგონა პატარა ქალაქია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ასლა აქ გაცხოველებული საკურორტო სეზონია. 100.000-იან ქალაქში ნახევარ მილიონზე მეტი დამსვენებელი და ტურისტია თავმოყრილი.

ქალაქი მრავალფეროვანი აფიშებით არის სავსე. მათი განსაკუთრებული სიუხვე იმითაც არის გამოწვეული, რომ პირენეის ნახევარკუნძულზე ამჟამად ესპანეთის ხელოვნების ტრადიციული ფესტივალი მიმდინარეობს. ამ ფესტივალზე საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნება ქართველი მოცეკვავეების სახით პირველად არის წარმოდგენილი.

ფესტივალში წელს მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენლებმა: სოფიის ოპერის საბალეტო ჯგუფმა, ბერძნულმა თეატრმა, ესპანეთის წამყვანმა კოლექტივებმა, ამერიკის შეერთებული შტატების მსახიობებმა და სხვ.

პირველი გაცნობა ესპანელ მაყურებელთან დაინიშნა „ოდიტორიუმის“ ღია საკონცერტო დარბაზში, რომელიც ქალაქის ცენტრში „მარსის მინდორზე“ მდებარეობს.

კონცერტის დაწყებამდე 10 წუთით ადრე 3.000-კაციანი თეატრი უკვე ხალხით იყო სავსე. მხოლოდ აქა-იქ ჩანდა თავისუფალი ადგილი.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. განსაკუთრებით ღარბაზი იყო „ფარიკაობაზ“ ციცაბო კლდეებისა და ვალაბენთა შემორტყმული ღიხე-სიმაგრის ფონზე. მაგრამ წარმოდგენის უკანასკნელმა ნომერმა „შეჯიბრმა“ მოლოდინს ზედაბარბა. მაყურებელი კიდევ და კიდევ დაენებით მოითხოვდა მსახიობების ცეკვაზე გამოჩენას. ბიჭები ღიმილით გამოსხტაფდნენ კმაყოფილებას, მაგ ყველაფერი გაეკეთებინა, რათა პრემიერას მაყურებლის დიდი ინტერესი არ გაეკარწყლებინა.

მეორე დღეს ტარაგონის მრავალგვერდიანმა გაზეთმა „დიარიო ესპანიოლმა“ მოათავსა სურათი წარწერით „ის, რაც ჩვენ ვიხილეთ, მეტყველებს იმაზე, რომ წარმატება ამ ანსამბლის თანამგზავრი იქნება ყველგან...“ იქვე ეწერა, დაწვრილებით რეცენზიას ამ კონცერტის შესახებ მეთვრამეტე გვერდზე ებეჭდებოდა.

პირველ რეცენზიას სათაური მართლაც რომ სოლიდური ჰქონდა: „ქართული ბალეტის ტრიუმფი“. სათაურის ქვეშ ეწერა „ფოლკლორი, რომელიც ბასკების ხელოვნებას მოგვაგონებს და ქვეყანა, რომელსაც წინათ იბერია ერქვა“.

შემდეგ უკვე ვკითხულობთ ერთიკო ბადიას რეცენზიას: „ვეფრაფიულად ჩვენთვის შორეული ქვეყნის ფოლკლორი გვაცნობს ჩვენს ისტორიას, ჩვენს საკუთარ ფოლკლორსაც კი. ამ შემთხვევაში საუბარია ხალხური ცეკვის ანსამბლის შესახებ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან, რომელმაც კონცერტი გამართა „ოდიტორიუმის“ თეატრში და შეაგროვა ურიცხვი მაყურებელი...“

მეორე დღეს კონცერტი იმავე თეატრში გვქონდა. „ოდიტორიუმს“ ზღვა ხალხი მოაწყვა. ახლა კი საქმე იქამდე მივიდა, რომ საკონცერტო დარბაზის ადგილს ანსამბლის ხელმძღვანელებს ძლივს უშოვეს დასაჯდომი ადგილები.

მაყურებელი კვლავ და კვლავ დაენებენით მოითხოვდა ცეკვებს „ბისზე“ გამეორებას: კონცერტის დამთავრება მართლაც ძნელი აღმოჩნდა, ვინაიდან სცენას ფარდა არ ჰქონდა, ხალხი კი არ ტოვებდა თეატრს.

სამი დღის შემდეგ ვტოვებთ ტარაგონას, პატარა, მაგრამ კოპწია ზღვისპირა ქალაქს. გვაქვს საქმიანი საკენ ავიღეთ. კონცერტებს გავმართავთ ელჩრსა და ლიხარესში, შემდეგ კი გავეშურებით ალტალენტის ოკეანის სანაპიროსაკენ ქალაქებში ლა კორუნასა და სან-სებასტიანში. წინ ბასკების ლედაქალაქი ბილბაო გვაქვს. მოგვიანებით მადრიდს ვეწვევით...

ესპანეთის ხელოვნების ტრადიციული ფესტივალი ეძღვნება და ჩვენი საგასტროლო მოგზაურობა თანდათან საინტერესო ხდება. კონცერტები გავმართეთ ალიკანტეს, ვალენსიის, კადისის პროვინციებში. მაყურებელი ყველგან ოვაციებითა და თაიგულებით გვხვდება. მიყვებიან სამხრეთ ესპანეთში — სევილიაში.

ადგილობრივი პრესა ცნობებს ქართული ანსამბლის გამოსელის შესახებ მოწინავე ადგილს უთმობს. ესპანეთის ხელოვნების ფესტივალზე ჩამოსულ კოლექტივებს შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ყველაზე დიდი წარმატება აქვთ, ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ ქალაქ სანტანდერის საკონცერტო ორგანიზაციის წარმომადგენლებს ჩვენი კონცერტის ბილეთების ღირებულება ძალზე მცირედ მოეჩვენთ. დროულად გამოსწორების მიზნით ბილეთები გაიაფეს. ყველაზე ძვირი ბილეთის ფასმა 2700 პესეტას მიაღწია, რაც ორმოცდაორ ნახევარ დოლარს უდრის, ეს მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ესპანელებს ყველაზე პოპულარულ ნანახობაზე — კორიდასაც კი შემორდებოდა ასეთი მაღალი ფასები. მიუხედავად ამისა, ბილეთების შოვნა საკმაოდ ძნელი გამოდგა.

სანტანდერის კრიტიკა მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველი ანსამბლის კონცერტებს. გაზეთ „ალერტაში“ ვკითხულობთ: „სანტანდერის ოცდამეერთე საერთაშორისო ფესტივალი გუშინ დაიხურა ქართველი მოცეკვავეების ამოუოზორი გამოსვლით. კონცერტს წინა ღამესაც უდიდესი წარმატება ხვდა. თეატრი, რომელიც მაყურებლით იყო სავსე, ფეხზე მდგარი დიდხანს უკრავდა ტაშს. შესანიშნავი ქართველი მოცეკვავეები აიძულეს მრავალჯერ ვამოსულიყვნენ სცენაზე, მერე კი მოითხოვეს სცენაზე ანსამბლის ხელმძღვანელები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი გამოსულიყვნენ... ასე დამთავრდა ჩვენი ფესტივალის შესანიშნავი უკანასკნელი ღღე, ფესტივალისა, რომელმაც ამ წელს ჩვენს ქალაქსა და მის სტუმრებს დიდი სიამოვნება მიანიჭა“.

მრავალფეროვანია ფესტივალის პროგრამა. მრავალფეროვანია ქალაქებიც, სადაც კონცერტებს ვმართავთ, დიდი და პატარა, სამრეწველო და შესანიშნავი ისტორიული წარსულით...

პატარა პროვინციულ ქალაქ ლინარესში კონცერტი კორიდაზე გვქონდა. დრო ცოტა იყო. 15 წუთის შემდეგ მთელი ანსამბლი უკვე სცენაზე იდგა. ნინო რამიშვილმა სცენის გასინჯვის მიზნით მოკლე რეპეტიცია ჩაატარა. სასუნე უკმაყოფილება ეტყობოდა — „სცენის იატაკი ჩვენს ბიჭებს ვერ გაუძლებს, მეშინია, რამე ხიფათი არ მოხდეს“.

კონცერტი დაიწყო. გამოჩნდნენ ქართველი ქალ-ვაჟები. მაყურებელი ისე ბორგავდა, თითქოს ტორეადორის სიკვდილისათვის განწირული უნარმაზარი ხარისათვის დაბნა უნდა ჩაეკლა. თავბრუდამხვევი „ფარაკ“ დარბაისლურმა „ქართულმა“ შეცვალა. ახლა კი ჯველა გაინაბა... დაიწყო ხორუში დაზვერვით. სცენაზე წითელი შუქი ოდნავად ბეჟუტავდა. ეადმოხტა ერთი მეომარი, მეორე, მესამე, მეოთხე... უცებ კორიდამ ერთბამად იფრიალა. რა მოხდა? ერთერთ მოცეკვავეს გადმოხტომის დროს იარაღი ჩაუტყდა და მუხლებით ფიქრებში გაიპეტა, მან ფეხი იტკინა, მაგრამ სცენა ოსტატურად დატოვა. „ხორუში“ დამთავრდა. კვლავ იფრიალა ტაშმა, მაგრამ საბერი ვასდა წარმოდგენის შეჩერება. „კონცერტის გაგრძელება“ ადგილობრივ ფურცლებს დაეკალათ. „დებიუტანტები“ ისე ოსტატურად მუშაობდნენ, რომ ზიზღიერი მაყურებლის ტაშიც კი დაინსურეს. „ტაიმ-აუტმა“ 15 წუთს გასტანა. კონცერტი განახლდა. პირველი განყოფილების დასასრულს უკვე მაყურებელიც კონცერტის მონაწილე ვასდა: „მხედრულმა“ კულმინაციურ წერტილს მიაღწია და მაყურებლის ერთსულოვანი ტაშის ჭრიალში თხუმუტუნაანი შესვენება გამოცხადდა. სწორედ უკანასკნელი ცეკვის დროს ეიუნჩნდა ხალხი „ბაზარი“, იატაკი ხან ერთ მოცეკვავეს უტყდებოდა და ხან მეორეს.

პირველი განყოფილება დამთავრდა, მაგრამ სცენის სარეკლამიანი სამუშაოები ვრძელდებოდა. მასპინძლები ძალზე შეშფოთდნენ. ბოლოსმა მოსასდელად ჩვენს სკლმძღვანელებთან თვით ქალაქის მერი მოვიდა: „არ გვეგონა, თუ ასეთი ტემპერამენტიანი ცეკვები გვქონებოდა, ჩვენ ფეიერობდით ჩვეულებრივი ბალეტი იყო, ისეთი, როგორიც ყველას აქვს... ფინომენალური თქვენი სანახაობა“. მერმა „დანაშაულის“ გამოსასწორებლად კონცერტის შემდეგ ბანკეტი მოაწყო, რომელსაც ქალაქის არისტოკრატია ესწრებოდა. აქ გავიგეთ, რომ ოცდასუთი წლის წინათ 1947 წლის 29 აგვისტოს კორიდაზე, სადაც ჩვენ გამოვდიოდით, ტრაგიკულად დაიღუპა ესპანელთა ლეგენდარული ტორეადორი მანუელ როდრიგუს სანჩესი, რომელსაც სიყვარულით „მანოლეტს“ ეძახდნენ. მის უკვდავსაყოფად კორიდის შესასვლელთან მემორიალური დაფა გაკრული.

როცა ვტოვებდით ამ შორეულ თანამედროვე ზღვისპირა ქალაქ ალიკანტეს, არ ვეგონა თუ ფიქრები ამ ქალაქზე დიდხანს გაგვყვებოდა... სალამო ცხრა სასტუმრო „ერან სოლის“ ლოგში შევიყრიდეთ. გასვლათა კონცერტი გვქონდა ქალაქ ელჩრში. ჩვენს ბიჭებს გამოელაპარაკა შესანიშნავი ვარიეტონის მეგაკეთილი. დიდი სათვალე ხახის ნაკვთებს უმალავდა, ალბათ ამიტომ ვერ იცნეს ჩვენს ბიჭებმა საკვეულნდ ცნობილი კინომსახიობი.

— ვამარჯობთო, — ეკითხა ინდელსურად, — თქვენ ქართველები ხომ არა ბრძანდებიო? — დადებითი პასუხის შემდეგ მოსაუბრემ კვლავ თვითონ ვაკარძოლა საუბარი. — ჩვენს პროგრამი თქვენზე იმდენი კარგი იწერება, რომ ვეღარ მოვითმინე და გამოველაპარაკეთ, მე ხარა მონტიელი ვარ...

მეორე დღეს დილით ადრე ხინკნელთან ეტყვებოდით სასტუმრო „ერან სოლს“, ვინაიდან სარა მონტიელთან ერთად სამასსოერო სურათის გადაღება ვეღარ მოვასწარეთ. სამაგიეროდ რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ომარ მხეიძე სასტუმროს პორტიეს სარა მონტიელისათვის ვადასაიმადე დაუტოვა ღია ბარათები, რომლებზეც ძველი თბილისის ხედები იყო ამოტეტილი.

წინ საინტერესო გამოსვლები და შეხვედრები გველის...

კ. მაკარიძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ქ. სევილია.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ესპანური გაზეთები, რომლებშიც დაბეჭდილია მახალები ქართველ მოცეკვავეთა კონცერტების შესახებ; ნ. რამიშვილი, ი. სუხიშვილი და იმპრესარიო კონსტანტ ვარელა ს

დი (მარჯვნივ); წინ ახალი ქალაქი! (გამგზავრება ქ. პალმა დელ როიოს სადგურიდან).

ᲐᲚᲙᲝᲠᲘᲡ ფოტო.

ᲐᲗᲐᲡᲜᲐᲘᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

□

გალილეის საქმე

ᲬᲘᲜᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ მალე ალბათ გალილეო გალილეის რეაბილიტაციას მოახდენს.

ვენის არქიეპისკოპოსმა კარდინალმა კოინიგმა გაზეთ „პაუზ ხერახთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მზის გარშემო დედამიწის ბრუნვის ფაქტი... თითქმის უდავოაო. კოინიგმა შემდეგ აღნიშნა, რომ „ვატიკანმა შექმნა კომისია გალილეის საქმის გადასახილჯავად“. მართალია, საჩქაროდ დახმინა კარდინალმა, არ შემიძლია გარანტია მოგცეთ, რომ „ბრალდებული“ რეაბილიტირებული იქნება.

ᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝᲒᲔᲑᲡ ᲣᲧᲐᲠᲘᲐᲗ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ პარლამენტმა გაუქმა 1657 წლის კანონი ამინდის წინასწარმეტყველთა შესახებ, რომლებიც იმ დროებაში განიცდიდნენ დევნას, თვით კოლონზე დაწვამდე.

გაზეთ „ტაიმსის“ წიგნგთი, ინგლისელ მეტეოროლოგთან ანლა შეუძლიათ „შვებით ამოისუნთქონ“.

(„ტრუდ“ — საკ.).

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲓᲘᲓ ᲘᲣᲒᲘᲚᲔᲡ

28 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორასი სტუდენტი და მასწავლებელი გაემზადება ტრადიციულ ალპინიადაზე, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა სექტემბერში, წლევანდელი ალპინიადა საიუბილეოა — იგი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. მისი მიზანია დალაშქრის ყაზბეგი, ამ რაიონის სხვა რთული მარშრუტები. ექსპედიციის ხელმძღვანელობს ფიზიკის კანდიდატი ლოცენტი, სპორტის ოსტატი შოთა მირიანაშვილი. იგი გამოცდილი მთამსვლელია, სათავეში ედგა ქართველ სპორტსმენთა ჯგუფს, რომელებმაც პამირზე კომუნიზმის პიკი (7.495 მეტრი) დაიპყრეს. (საქინფორმი).

ᲙᲣᲗᲐᲗᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

თბილისში დამთავრდა თანამედროვე ხუთეტიანელთა საკავშირო გუნდური ჩემპიონატი. სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა სამხრეთის ჯარების ჯგუფის კოლექტივი. საჭირავოლის დინამოელებმა მეშვიდე ადგილი დაიკავეს.

პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, უკრაინის სპორტული საზოგადოება „ავანგარდის“ წარმომადგენელი ვ. დრიუკოვი — 4.907 ქულა. თბილისელი ვ. კალინინი 4.698 ქულით მეკვეთე ადგილზე გამოვიდა.

სპორტული ქრონიკა

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐᲨᲘ საბჭოთა კავშირს თასი მხატვრულ ტანვარჯიშში მოიპოვა ელენე კარპუხინამ. მეორე ადგილი დაიკავა სტავროპოლელმა ნატაშა კრაშენკოვამ. მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ ასტრახანელი ალა ზასუხინა და სვერდლოვსკელი ალფია ნაზმეტდინოვა.

ᲢᲐᲚᲘᲜᲨᲘ გათამაშდა სსრ კავშირის თასი ბადმინტონში, რომელიც მოიპოვა დნეპროპეტროვსკის სპორტული კლუბის „მეტეორის“ გუნდმა. მეორე ადგილი დაიკავა შარშანდელმა ჩემპიონმა მინსკის „სპარტაკმა“, მესამე — გორკის „ბურევესტნიკმა“.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲠᲪᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ...



ᲡᲝᲩᲘ, 28 სექტემბერი. (საკდისი). მსოფლიო ხაჭადრაკო ოლიმპიადის ფინალური ტურნირი, რომელიც იუგოსლავიის ამ ქალაქში მიმდინარეობს, სსრ კავშირის ნაკრებმა მარცხით დაიწყო. ჩვენი მოჭადრაკეები — იგი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. მისი მიზანია დალაშქრის ყაზბეგი, ამ რაიონის სხვა რთული მარშრუტები. ექსპედიციის ხელმძღვანელობს ფიზიკის კანდიდატი ლოცენტი, სპორტის ოსტატი შოთა მირიანაშვილი. იგი გამოცდილი მთამსვლელია, სათავეში ედგა ქართველ სპორტსმენთა ჯგუფს, რომელებმაც პამირზე კომუნიზმის პიკი (7.495 მეტრი) დაიპყრეს. (საქინფორმი).

ᲛᲘᲔᲫᲚᲕᲜᲐ ᲓᲘᲐᲓ ᲘᲣᲒᲘᲚᲔᲡ

28 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორასი სტუდენტი და მასწავლებელი გაემზადება ტრადიციულ ალპინიადაზე, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა სექტემბერში, წლევანდელი ალპინიადა საიუბილეოა — იგი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. მისი მიზანია დალაშქრის ყაზბეგი, ამ რაიონის სხვა რთული მარშრუტები. ექსპედიციის ხელმძღვანელობს ფიზიკის კანდიდატი ლოცენტი, სპორტის ოსტატი შოთა მირიანაშვილი. იგი გამოცდილი მთამსვლელია, სათავეში ედგა ქართველ სპორტსმენთა ჯგუფს, რომელებმაც პამირზე კომუნიზმის პიკი (7.495 მეტრი) დაიპყრეს. (საქინფორმი).

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტის სასახლეში გაიმართა ჰოკეისტთა მერვე მატჩი სსრ კავშირის ნაკრებსა და კანადის უძლიერეს პროფესიონალებს შორის. ეს შეხვედრა სათვალავით მერვე იყო ამ გუნდებს შორის. ამ თამაშამდე სსრ კავშირისა და კანადის ჰოკეისტებს თავიანთ აქტივში სამ-სამი გამარჯვება ჰქონდათ. მათი ერთი შეხვედრა ფრედ დამთავრდა. შაიბები ნარკვევი — „ოსტატი ივანე კრივოვი“, 12.20 — „ცეკვის სიცოცხლე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 14.05 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „აქ შენი მეორე ოჯახია“, 15.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.55 — „ცხოველთა სამყაროში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — საესტრადო პანორამა, 17.30 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 18.00 — „ეთერშია ახალგაზრდობა“, 18.15 — ხუთწლეული ენა და ლიტერატურა, 18.40 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 19.40 — სკკპ ისტორიაში.

30 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.50 — კინოლექციები (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ქართული საბჭოთა ხელოვნება“ — ი. ნიკოლაძე, 22.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მუსიკალური პროგრამა, 23.25 — კინოპროგრამა — „დამბილება“ და „აკადემიკოსი გუჩკინი“, 00.10 — საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

17.50 — განცხადებები, 17.55 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა და ლიტერატურა, 18.40 — „ოსტატი ივანე კრივოვი“, 12.20 — „ცეკვის სიცოცხლე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 14.05 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „აქ შენი მეორე ოჯახია“, 15.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.55 — „ცხოველთა სამყაროში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — საესტრადო პანორამა, 17.30 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 18.00 — „ეთერშია ახალგაზრდობა“, 18.15 — ხუთწლეული ენა და ლიტერატურა, 18.40 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 19.40 — სკკპ ისტორიაში.

30 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.50 — კინო-

ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲠᲪᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ...

ᲡᲝᲩᲘ, 28 სექტემბერი. (საკდისი). მსოფლიო ხაჭადრაკო ოლიმპიადის ფინალური ტურნირი, რომელიც იუგოსლავიის ამ ქალაქში მიმდინარეობს, სსრ კავშირის ნაკრებმა მარცხით დაიწყო. ჩვენი მოჭადრაკეები — იგი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. მისი მიზანია დალაშქრის ყაზბეგი, ამ რაიონის სხვა რთული მარშრუტები. ექსპედიციის ხელმძღვანელობს ფიზიკის კანდიდატი ლოცენტი, სპორტის ოსტატი შოთა მირიანაშვილი. იგი გამოცდილი მთამსვლელია, სათავეში ედგა ქართველ სპორტსმენთა ჯგუფს, რომელებმაც პამირზე კომუნიზმის პიკი (7.495 მეტრი) დაიპყრეს. (საქინფორმი).

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

29 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.35 — „ახალი ამბები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — გადაცემა ბავშვებისათვის (გადმოცემა ტალინიდან), 11.15 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან